საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 23 აპრილი, 2014 წელი.

№79 (7460)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ილია II:

შეუძლებელია შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც...

②-③



④

მოდი, ავირჩიოთ ორი მერი

⑧

საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკაში ექს-პრეზიდენტის მთავარ მტერს აბრუნებს

საქართველო მსოფლიოში უდიდესი წყლის დონორი ქვეყანა გახდება?

⑨



გარდაიცვალა გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი

⑧

სამშობლოში პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული გენიოსი

საყდრისი კულტურისა და მეცნიერების ძეგლია

⑦

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

შეუძლებელია შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც...

საადღგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II



„წყალოგაი და ჯეშმარიტებაი შეიმთხვევნეს, სიმართლემან და მშვიდოგამან ამგორსუყვეს“ (ფს. 84,10).

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მამანო და დედანო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, სასულიერო და საერო დასნო, მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

აღდგომის მადლითა და სიხარულით აღვსილი ვადიდებთ უფალს და თქვენ ყოველთა გულითადად გილოცავთ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

აღსრულდა!

აღსრულდა ის, რაც განჩინებული იყო უწინარეს საუკუნეთა!

„ვნებითა მით შენითა, ქრისტე, ვნებათაგან განვთავისუფლდით და აღდგომითა შენითა ხრწნილებისაგან ვიხსენით, უფალო, დიდება შენდა!“

49 დღე ემზადებოდნენ მორწმუნენი ამ ზეიმის შესახვედრად.

შვიდი კვირის განმავლობაში ყველანი ვცდილობდით სულიერი კიბით ზესვლას, რათა ძალისამებრ ჩვენისა მომზადებულნი ვზიარებოდით პასექის სიხარულს, რომლის საღიდებელად ენა ამაოდ დაშვრება, რადგან ადამიანური მეტყველება უძლურია, გადმოსცეს ღვთის სიყვარულის ის საოცარი გამოვლინება, რისი მომსწრე და მხილველიც კაცთა მოდგმა 1981 წლის წინ გახდა.

აღდგომა, ეს არის ნეტარ მარადისობასთან ზიარების, წარუვალი სიკეთისა და სიხარულის მაუწყებელი დღე.

„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?“ (I კორ, 15,55).

ქრისტე აღდგა! გიხაროდეთ!

გარდა იმისა, რომ მაცხოვარმა ჩვენმა ბოროტება შემუსრა, თითოეულ ჩვენგანს უჩვენა გზა ხსნისა, უჩვენა მაგალითი ცხოვრებისა, ისეთი სიცოცხლისა, რომელიც ჭეშმარიტ ბედნიერებასთანაა დაკავშირებული.

ბედნიერება, ეს არის ის ცნება, ის მდგომარეობა, რომელსაც ესწრაფვის ყველა ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი ქვეყნისა და ერის წარმომადგენელია იგი. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბედნიერებას ესა თუ ის პიროვნება სხვადასხვანაირად აღიქვამს. მთავარი განსხვავება კი ის არის, რომ ზოგნი ამას ღმერთთან სიახლოვეში ხედავენ, ზოგნი კი, მის გარეშე მოიაზრებენ.

ამ გაორებას სათავე სამოთხეში დაედო. ღმერთთან ერთობის პერიოდში ადამი და ევა აქ უზრუნველად ცხოვრობდნენ, მაგრამ, როდესაც მათ, საკუთარი თავის კიდევ უფრო მეტად განდიდების მიზნით, უფლის დარიგება უგულებელყვეს, ქვენა მიდრეკილებებს გაუხსნეს კარი და თვითონაც და მათი შთამომავლობაც გაორდა:

კაენის სულის მქონეთ ღმერთს ზურგი აქციეს და დაემონნენ ეგოისტურ ზრახვებს, ამბიციას, ხორციელ და გრძნობად მოთხოვნილებებს: ისინი ცდილობენ აქ, ამ წუთისოფელში, მიიღონ შესაძლო პატივი, სიმდიდრე, სიამოვნება... იმქვეყნიური ცხოვრებისა კი ან არ სწამთ, ან ამ თემაზე საკუთარი წარმოდგენა აქვთ და ყველაფერს სათავისოდ განსჯიან. აბელ-სეითის გზით მავალნი კი ბედნიერებას მხოლოდ უფლის წიაღს უკავშირებენ.

მათთვის მიწიერი ცხოვრება, ეს არის სამოთხიდან განდევნილთა ადგილი, ის დრო და სივრცე, სადაც ადამიანმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს თავისი ხვედრი და შეამზადოს თავისი მარადიული მომავალი.

ასეთი პიროვნებებისათვის ადამიანური ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო შემოქმედის ამ სიტყვებშია გაცხადებული: „შეიყვარე უფალი, ღმერთი შენი, ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორე არის: შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი შენი“ (მრ. 12, 30-31).

პირველი მცნება გულისხმობს ღვთისადმი ისეთ სიყვარულს, რომელიც ყველაზე ძლიერი უნდა იყოს ჩვენში.

– როგორ მივხვდეთ, ვართ თუ არა ამ განწყობით?

– შემოქმედზე წინ არ უნდა დავაყენოთ არავისი და არაფრის სიყვარული და ამასთან, ყოველივე ჩვენს თავზე მოწევნული, – სიხარული თუ განსაცდელი, – უნდა მივიღოთ მადლიერებით.

– განა თუნდაც მშობლების ან შვილებისადმი გამორჩეული სიყვარული სწორი არ არის?

– ქრისტიანობა სიყვარულის სარწმუნოებაა, გულმხურვალე, თავგანწირული სიყვარულის რელიგია და, ბუნებრივია, ახლობლებისადმი დიდი სითბოსა და მზრუნველობის გამოჩენა არა თუ კარგია, ჩვენი ვალდებულებაა. ამის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მაგრამ ჩვენც, ჩვენს მშობლებსა და მათ წინაპართ, ისევე როგორც ჩვენს შვილებს და მათ შთამომავლებს, სიცოცხლეც და სხვა ყოველივე სიკეთეც უფლისაგან მოგვეცა. იგი არის ყველაზე დიდი მშობელი, ყველაზე დიდი ახლობელი ყველასათვის, ყველაზე მართალი და გულწრფელი გულშემატკივარი, იმედი და ნუგეშინისმცემელი ჩვენი.

ამიტომაც, როცა, თუნდაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საჭიროა ჩვენთვის.

– მაგალითად, შვილის გარდაცვალებაც?

– რა თქმა უნდა, ეს უდიდესი ტკივილია და ბოლომდე ღვთის განგებულებას ვერავინ ჩაწვდება. თუმცა, ასეთ შემთხვევებში ხვედავ იმ აზრს, რომ უფალს ადამიანი თუნდაც ახალგაზრდა, გაყავს ამ ქვეყნიდან მისი ცხონებისათვის საუკეთესო პერიოდში. და, ბუნებრივია, იგი ცათა შინაც შესაფერის ადგილს დაიმკვიდრებს; ხოლო ის ტკივილი, რაც მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს მიეყენებათ, კიდევ ერთხელ დაადასტურებთ მათ სიცოცხლის საზრისზე, მთავარ ღირებულებებზე, ცხოვრების წესზე, ზესთასოფელზე... ყოველივე ეს კი იწვევს ფერისცვალებასა და უკეთესობისაკენ მათ შეცვლას, ანუ, ფაქტობრივად, ეს ახალგაზრდები მიზეზნი ხდებიან თავისი ახლობლების სულიერი გადარჩენისაც, რაც უდიდესი მადლია იმ ქვეყნად წასულთათვისაც და აქ მყოფთათვისაც;

ხოლო თუ ამ ხალხს ასეთმა განსაცდელმაც ვერ უშველა, ძალიან დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათს გულებში უფლის ადგილი არც არასოდეს იქნება.

– და რაკი ადამიანი გამუდმებით სცოდავს, მით უმეტეს ჩვენს დროში, განსაცდელებით ამიტომ ვართ სავსენი?

– ეს, მართლაც ასეა. დემონი ყოველნაირად ცდილობს თითოეული ადამიანის სული მიიზიდოს და მიიტაცოს. სთესავს მასში ეჭვსა და ურწმუნოებას, ყველაფრისადმი ზერელე დამოკიდებულებას, ბინდავს გონებას ათასგვარი სიამოვნებით და თვალსაწიერს მხოლოდ წუთისოფლით უფარგლავს, რათა იგი გონს არ მოეგოს და ხელიდან არ დაუსხლტეს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც, თუმცა, თანამედროვე ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასიურად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა. ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო. ადრე დევნიდნენ და აწამებდნენ მორწმუნეებს, ანგრევდნენ ტაძრებს, შეურაცხყოფდნენ სიწმინდეთ, მაგრამ ზნეობაზე სიტყვით მაინც უარს არ ამბობდნენ.

თანამედროვე ფსევდო-ლიბერალიზმს კი სურს, მოსპოს ცნება ცოდვა. მათი აზრით, ცოდვის განცდა თურმე ზედმეტად „ბოჭავს“ ადამიანს და „თავისუფლებას“ აკარგვინებს. ამიტომაც უნდათ, გააქრონ მორალი და მასთან ერთად სინდისის ქენჯნაც. იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე, რაც დღეს უკვე გულისხმობს ბრძოლას არა მარტო რელიგიურ მცნებებთან, არამედ საყოველთაო, ზოგადადამიანურ ღირებულებებთანაც, ფაქტობრივად, ისინი ცხოველებზე უფრო დაბალი ცხოვრების წესს სთავაზობენ საზოგადოებას და სრული სულიერი გადაგვარებისაკენ უბიძგებენ. აჩვენებენ სადიზმითა და სექსოპათიით გაჯერებულ ფილმებს და თან „გართობის“ მიზნით სხვადასხვა „შოუსა“ და გადაცემებში ირონიით საუბრობენ ადამიანურ ღირსებებზე, კულტურაზე, ტრადიციებზე, რათა, მათი თქმით, ხალხი „განკურნონ ნევროზისა და ფობიებისაგან.“

ეს მეთოდიკა ისეთი ფორმით ინერგება, რომ ზოგჯერ თვით ამ „სპექტაკლების“ მონაწილეთაც არ ესმით, სინამდვილეში რას ემსახურებიან და რატომ აქვთ ასეთი დაკვეთები. ვითომ ორიგინალობის და სიახლის შემოტანის სურვილით აკეთებინებენ ამას, სინამდვილეში კი საყოველთაო ურწმუნოებასა და ეშმაკეულ ცნობიერებას ამკვიდრებინებენ, რითაც, რა თქმა უნდა, ღმერთს განარისხებენ:

„ვაი იმ კაცს, ვისგანაც მოდის ცდუნება. მისთვის უმჯობესი იქნებოდა წისქვილის ქვა დაეკიდათ კისერზე და ზღვის უფსკრულში ჩაეძირათ(მთ.18,6, 18,7) – ბრძანებს უფალი.

ბუნებრივია, ადამიანის ისედაც სუსტ ბუნებას უჭირს გაუძლოს ბოროტის ამდენ მახეს. ამიტომაც, სახეზე გვაქვს საყოველთაო დაცემა და ამ ფონზე არც მართლმადიდებლები არიან განსხვავებულ მდგომარეობაში. მათ შორისაც გახშირდა სიცრუე და ღალატი, ეგოისტური მიდგომები, უარის თქმა ოჯახურ ვალდებულებებზე, გულგრილობა. ყოველივე ეს კი სულიერ სამყაროში იწვევს სერიოზულ რღვევებს, რასაც ზოგიერთი გრძნობს, მაგრამ არ რეაგირებს, ზოგიერთი კი ვერც აცნობიერებს და აგრძელებს ცოდვასთან კავშირს.

მაგრამ თუ უფალს ეს ადამიანი უყვარს და არა ჰყავს მიტოვებული, მასზე ღვთისაგან დაეშვება განსაცდელი (ან განსაცდელები), რათა იგი გამოფხიზლდეს და დაფიქრდეს თავის მდგომარეობაზე.

ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, ვიდრე არ მოხდება გაცნობიერება დანაშაულისა და მისი გამოსყიდვა.

მე პირადად არაერთი ადამიანი მინახავს გულწრფელი აღსარებითა და ზიარებით მძიმე სენისაგან განკურნებულნი, ასევე რთული და, ერთი შეხედვით, გამოუვალი მდგომარეობიდან თავდახსნილნი; ეს ხომ დასჯა არ არის! იგი უფსკრულიდან ჩვენი ამოყვანაა, ჭუჭყისაგან ჩვენი განთავისუფლებაა.

ამიტომაც განსაცდელი მადლიერებით უნდა მივიღოთ.

ამასთან, ჩვენს თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც არ უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად.

„სასუფეველი ცათაი იიძულების, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი,“ (მთ. 11,12.), ანუ სასუფეველი ცათა საკუთარ თავთან ჭიდილით, – ცოდვათა დაძლევით მოიპოვება და ვინც ამ ომში გაიმარჯვებს, ის დაიმკვიდრებს მას.

ვიმეორებ, ეს დაპირისპირება დღეს განსაკუთრებული სიმწვავით მიმდინარეობს. ბოროტი თავგამოდებით იბრძვის და ჩვენც თავგამოდებით გვმართებს დავიცვათ ჩვენი მეობა, ჩვენი სული, ჩვენი ღირებულებები.

მაცხოვარი ჭეშმარიტ ქრისტიანებს თავისიანებსა და რჩეულებს უწოდებს და ასე მოიხსენებს: **„ვიცნი ჩემნი იგი და მიციან ჩემთა მათ“ (იხ. 10,14).**

როგორი დიდი წყალობაა, უფალს მიაჩნდე თავისიანად!

მე მინდა მივმართო ჩვენს ხალხს, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალი განსაცდელი გადაიტანა, – არ შედრკეთ! ეს ტკივილი, ეს მწუხარება სწორედაც ნიშანია იმისა, რომ უფალი ჩვენთანაა, რომ ღმერთს ვუყვარვართ და ამიტომაც გვწვრთვნის შეცოდებათა გამო.

– მართალია, სხვათა მსგავსად ჩვენც რთულ დროში გვიწევს ცხოვრება და ეს გავლენას ახდენს ჩვენს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მრავალი ტაძარი აიგო, ეკლესიები სავსეა ხალხით, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თავს მართლმადიდებლად მიიჩნევს. სხვაგან ასეთი პროცესები არ არის, თუმცა, ისინი ჩვენზე უკეთ არიან. ჩვენ რა დავაშავეთ, რომ გამოცდის და განსაცდელების პერიოდი ასეთი ხანგრძლივი და მძიმე აღმოჩნდა?

– ჯერ ერთი, ვისაც ბევრი მიეცა, მეტიც მოეთხოვება. ჩვენს ხალხთან მიმართებაში სწორედ ეს ვითარებაა. ამასთან, მართალია, საზოგადოებაში დიდი დადებითი ძვრები მოხდა, მაგრამ მთავარი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

თითოეულმა ჩვენგანმა (ამჯერად ვგულისხმობ მხოლოდ მორწმუნეთ, მათ შორის, საასულიერო პირებსაც) ჩავიხედოთ სულში და პირუთვნელად შევაფასოთ ჩვენი განწყობები და დამოკიდებულებები.

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და

ვფიქრობ, ცოტანი არიან ისეთნი, რომელთა გულის ტახტზე უფალია დაბრძანებული. უმეტესი ნაწილი კი ძირითადად, სიტყვით და ნაწილობრივ კი, საქმითაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისვლეს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

ნაწილობრივ კი, საქმითაც ღვთის მადიდებელია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არის მინდობილი ღმერთს.

ეს ჰგავს იმ პიროვნების მდგომარეობას, რომელმაც ცურვა არ იცის, ზღვის სანაპიროზე მხოლოდ ფეხს ისველებს და ზღვაში ცურვის სიყვარულზე კი საუბრობს.

რა თქმა უნდა, ათეისტური აზროვნებისაგან ხალხი მალევე ვერ განთავისუფლდება და ზემოთქმული ამის შედეგიც არის, მაგრამ უკვე დადგა დრო, მთავარი სულიერი ორიენტირების გასწორებისა; ხოლო, თუ ეს ასე არ მოხდება, მთელი ჩვენი ძალისხმევა, ჩვენი ვედრება ამაო იქნება, რადგან არასწორად აღვლენილი ლოცვა ჰაერში განიბნევა და შედეგს ვერ გამოიღებს.

ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საქმიანობა, აზრი და ფიქრიც კი, შესაძლებლობისამებრ, ღმერთით უნდა იყოს განმსჭვალული და სწორებას მუდამ მასზე უნდა ვახდენდეთ. ასეთი დამოკიდებულება სასიცოცხლოდ აუცილებელი არის თითოეული ჩვენგანისთვის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ, თავი დავიცვათ ცოდვისაგან და მივუახლოვდებით იმ მდგომარეობას, რაც დაცემამდე იყო შემოქმედსა და ჩვენს პირველმშობლებს შორის, - შევცურავთ უფლის სიყვარულის ოკეანეში და აღვივსებით მისი მადლითა და წყალობით.

ვინ არის მოყვასი და რატომ არის მისი სიყვარული ჩვენი გადარჩენისათვის, ასევე, აუცილებელი პირობა?

– მოყვასია ყველა, ვინც კი ცხოვრების გზაზე გხვდება. დაწყებული შენი ოჯახის წევრებიდან, ახლობლებიდან და მეგობრებიდან და დამთავრებული უცნობი, მაგრამ შენთან შეხებაში მყოფი პიროვნებებით; რა თქმა უნდა, ამათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც ჩვენ მტრებს ვუწოდებთ.

ახლობლებისა და ჩვენი მოყვარული ადამიანების სიყვარული რომ აუცილებელია, გასაგებია. ეს გრძნობა იმდენად ბუნებრივად მკვიდრობს ჩვენში, რომ აქ მოვალეობაზეც კი ლაპარაკი არ არის, ეს ჩვენი მოთხოვნილებაა.

ჩვენი ხალხის ხასიათის წარმოსაჩენად ორ მომენტს გავიხსენებ: თუკი ქვეყანამ გაუძლო ბოლო ოცი წლის დუხჭირ ცხოვრებას, ეს სწორედ მეგობრების, მეზობლების, ნათესავების ერთსულოვნებით მოხდა. უბრალო ადამიანები, თვითონაც არასმქონენი, მასზე გაჭირვებულთ უშურველად უნაწილებდნენ თავის ლუკმას, რაც ბუნებრივად, დაუყვედრებლად ხდებოდა.

ეს ხომ გმირობის ტოლფასია!

თქვენ იცით, მე ყოველთვის მოვუწოდებდი და მოვუწოდებ უცხოეთში წასულ ქართველებს, დაბრუნდნენ სამშობლოში და აქ ეძიონ საშუალებები დასაქმებისა, თუნდაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მაგრამ არ შეიძლება არ დავაფასო ამ ადამიანების დიდი ნაწილის, განსაკუთრებით ქალბატონების, თავდადება, როგორც თავისი შვილების, ისე მეუღლეებისა და ახლობლების მიმართ.

მათ მიატოვეს ყველაფერი და უცხოეთში უმძიმესი შრომა არ ითაკილეს, რომ როგორმე ფიზიკურად გადაერჩინათ თავისი საყვარელი პიროვნებები.

ეს მოყვასის მიმართ შეწირული მსახურებაა.

ჩვენს ურთიერთობებში დიდი პრობლემები მაშინ იწყება, როდესაც ცოდვას ვეხებით და წყენა და გულისტკენა ჩნდება. როგორ მოვიქცეთ?

ცოდვის პირველი უცილობელი წამალი სინანულია. თუ შენ ხარ დამნაშავე, ბუნებრივია, ბოდიში უნდა მოიხადო, აღიარო დანაშაული, მიხვიდე მასთან, ვისაც გული ატკინე და სთხოვო პატიება. ეს შენი ვალდებულებაა. თუმცა, ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა და პატივმოყვარეობის დაძლევა, რაც ფრიად სამწუხაროა.

როგორ ვიგრძნოთ, გულით ვაპატიეთ თუ არა სხვას დანაშაული?

– პატიება ნიშნავს არა მარტო იმას, რომ სამაგიეროს არ მიაგებ მას, არამედ იმასაც, რომ დაფარავ და არ განაცხადებ შენი შემცოდის ცოდვას. უფრო მაღალი საფეხური კი გულისხმობს იმ მდგომარეობას, როდესაც ამ ადამიანს შენ სიკეთით უპასუხებ.

– შეიძლება ნაკლებად შემცოდეს შეუნდო, მით უმეტეს, თუ იგი შენდობას ითხოვს, მაგრამ როგორ შევიყვარო მტრები, ისინი, რომელნიც უსამართლოდ, საშინლად გვექცევიან?

– ცოდვა, რა თქმა უნდა, არ არის ის, თუ ასეთ დამნაშავეს სამართლებრივ ფარგლებში პასუხს მოსთხოვ, მაგრამ ეს ურთიერთობის შედარებით დაბალი დონეა.

საერთოდ კი, შენ უნდა მოინდომო, მას აუხსნა საქმის რეალური ვითარება, რომ გაღიზიანება დაიძლიოს; მაგრამ თუ ეს ქმედება ამაო გამოდგა, იგივე ახლა სხვათა საშუალებით გააკეთე; ხოლო, თუ შედეგი ამ შემთხვევაშიც ვერ მიიღე, ეცადე ღვთის საოდიდებელად დაითმინო ცილისწამება, რითაც შენს სხვა მრავალ ცოდვას აღხოცავ და სულიერადაც ამაღლდები; მაშინ „მტრის“ შხამიანი ქმედებების მიღმა დაინახავ, რომ შენი შეურაცხმყოფელი, ფაქტობრივად, თავისი ნებით წირავს თავს შენი განწმენდისათვის და ამასთან, უღირსი საქციელის გამო, საკუთარ თავს გაუცნობიერებლად, ღვთის რისხვას უმზადებს.

განა რა უნდა იყოს ამაზე მეტი სასჯელი მისთვის! შენ კი, თუ გონიერი ხარ, ასეთ პიროვნებაში დიდ კეთილისმყოფელს აღმოაჩენ, შეიბრალებ და შეიყვარებ მას.

ასე რომ, ჩვენი პირადი მტრის შეყვარება შესაძლებელია!

გავიხსენოთ მამა გაბრიელი (ურგებაძე), – აღმსარებელი და სალოსი.

მოგეხსენებათ, სალოსობის ინსტიტუტი, ძველი დროიდანვე იყო ცნობილი მართლმადიდებლობაში, მაგრამ ამ გზით მავალნი ძალიან ცოტანი იყვნენ; ისინი ყველას დასანახად ისე იქცევიან, რომ თავის არარაობას გაუსვან ხაზი და სხვათა თვალში დამცირდნენ, ანუ სალოსები მარტო კი არ ითმენდნენ შეურაცხყოფას, არამედ საზოგადოებაში ხელს უწყობდნენ მათზე უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რათა ყველასაგან ფარული, დიდი ღვაწლი ლოცვისა ეტვირთათ არა მარტო ცალკეული პიროვნებისა და ერისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის.

ასე იცხოვრა მამა გაბრიელმაც, – დაიმდაბლა თავი და ამიტომაც ამაღლდა.

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს, . . . როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე ჟამის ქრისტიანებს.

არანაკლები მადლმოსილება აქვთ ბეთანიელ ბერებსაც, – არქიმანდრიტებს: გიორგი მხეიძესა და გიორგი-იოანეს(მაისურაძეს) და XX ს-ში გაბრწყინვებულ სხვა წმინდანებს (აღარაფერს ვამბობთ წინა საუკუნეებში მოღვაწე სხვა წმინდანებზე).

– გამოდის, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის მტერი არ არსებობს?

– მტერი არსებობს და მისი სახელი არის ბოროტი სული, ეშმაკი, რომელიც თავისი მიზნების განსახორციელებლად იყენებს ცალკეულ პიროვნებებს, განსაკუთრებით ურწმუნოთ. აი, ვინ უნდა გვძულდეს და მოვიძაგოთ. მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანები კი, – გვიყვარდეს და გვებრალებოდეს, როგორც სნეულნი და ვეცადოთ, ვუმკურნალოთ მათს წყლულებს.

არსებობს ასეთი მოკლე ლოცვა:

ღმერთო, აცხოვნე (უნდა ითქვას მაჭირვებელთა სახელი) და მისი ლოცვით მეც მაცხოვნე, – ამ სიტყვებში დიდი სიბრძნეა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, წამლობა ხშირად

მწარეა, თუმცა, მისი მიღება აუცილებელია ჩვენი გამოჯანმრთელებისთვის. ასეა ცხოვრებაშიც, სიყვარული არ ნიშნავს ყოველივეს პატიებას, დაუსჯელობას. უფალიც ხომ გვწვრთნის დანაშაულთა გამო! ამიტომაც, ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ სიყვარული არ ნიშნავს უმოქმედობას, რომ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ღირსების დაცვა და პატივმოყვარეობა, თავდაცვა და ძალადობა, სიმართლის თქმა და განკითხვა, მხილება და დაბეზღება, დათმენა და სისუსტე.

შეუძლებელია, შენი სახელმწიფოს მტრების მიმართ იყო გულგრილი და არ დაიცვა ქვეყანა, მისი წარსული და მომავალი როგორც სიტყვით, ისე ფიზიკურადაც.

შეუძლებელია, სიწმინდის ტოლფასად ცოდვის აღიარებას გაიძულებდნენ და ეს დაუშვა.

შეუძლებელია მეგობარს, ზოგადად ადამიანს სასიკვდილოდ იმეტებდნენ, ან თუნდაც... უსამართლოდ ეპყრობოდნენ და თანადგომა არ გაუწიო მას.

უკიდურესობები არაფერში არ ვარგა, მით უმეტეს, აზროვნებაში. ამ სფეროში უკიდურესობებს მივყავართ ან ფანატიზმამდე, ან ფსევდო-ლიბერალიზმამდე. ორივე გადახვევაა ჭეშმარიტებიდან და, ამდენად, მიუღებელიც.

პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო, სასწავლებელთან და ეკლესიასთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში.

კომუნისტური რეჟიმის პირობებში ბევრი რამ დამახინჯდა, გაუკუღმართდა, მათ შორის, შვილებისადმი სიყვარულიც. მშობლები თავისი გაგებით უფრთხილდებიან მათ და ცდილობენ, ჰქონდეთ საუკეთესო ჩასაცმელი, არაფერი ეტკინოთ, არ ეწყინოთ, არ დაიღალონ, არამედ გაერთონ და ისიამოვნონ... ანუ უქმნიან სასათბურე პირობებს და თავისდაუნებურად ბავშვებში ეგოისტურ სულს აღაზევებენ.

ეს არის გაუცნობიერებელი მტრობა შვილების მიმართ!

ასეთი დამოკიდებულების შედეგად ახალგაზრდა უსასრული ხდება, არა აქვს შინაგანი სიმტკიცე, ხშირად იჩენს სიმხდალეს, მუდმივად ეძებს საყრდენს და სხვაზეა დამოკიდებული, დაქვეითებული აქვს აზროვნებაც და სიცოცხლისუნარიანობაც; ამასთან, არის ამბიციური და „მე“-ზე ორიენტირებული.

ეს ყველაფერი სხვადასხვა ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ფენაში სხვადასხვა სახით ვლინდება, თუმცა, დიდ ნაწილში ერთი საერთო მდგომარეობა შეიმჩნევა, – არსებულით დაკმაყოფილება, უინიციტივობა და მიშვებულობა.

ხშირია შემთხვევები, როცა მათ ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ ეზარებათ ვითარების გამოსწორებისათვის ზრუნვა. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მყოფნიც, ზედმეტად თავს არ იწუხებენ, რადგან არა აქვთ ძიების სურვილი. ეს მოსწავლეები და სტუდენტები ამთავრებენ რა სასწავლებელს, ამთავრებენ ურთიერთობას წიგნთან და მხოლოდ ინტერნეტის თამაშებით იქცევენ თავს.

ბევრი მიეჩვია უშრომელად, ან შედარებით იოლი საქმიანობით, თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან, თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაღმა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა... ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია.

ჩვენი შვილები თავიდანვე ძლიერ პიროვნებებად უნდა აღვზარდოთ და, პირველ რიგში, ღვთის სიყვარული და იმედი შთავუნერგოთ; იმედი იმისა, რომ თუ სწორად იცხოვრებენ, მარტონი არასოდეს იქნებიან და პრობლემებს უფლის შეწევნით აუცილებლად გადალახავენ.

ამასთან, პატარები უნდა მივაჩვიოთ შერიგებას, წყენის დავიწყებას, მეგობრებისადმი და, საერთოდ, ადამიანისადმი ერთგულებას, მადლიერებას, სხვის დახმარებას, სწორედ იმის გაღებას, რაც თვითონ ყველაზე მეტად უყვარს და სხვისი სიხარულით გახარებას, უნდა მივაჩვიოთ სამართლიანობას, ამტანობას, ტკივილის გაძლებას, რთულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნას, რა თქმა უნდა, შრომასა და წიგნის კითხვას; ანუ მოვამზადოთ ცხოვრებისათვის.

ფიზიკური და ინტელექტუალური დატვირთვა აუცილებელია ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად, რომ საჭიროების შემთხვევაში თავიც დაიცვას და სხვაც, ამასთან, გაარჩიოს, სად არის შავი და სად – თეთრი, რა არის კარგი და რა – ცუდი პირადად მისთვის, მისი ოჯახისათვის, ახლობლებისა და ქვეყნისათვის, რომ თავის შინაგან სამყაროში იგრძნოს სილაღე, თავისუფლება, სიძლიერე და სიყვარულით აღვსილი ამ თვისებების სხვათათვის გამზიარებელი იყოს სიცოცხლის ბოლომდე.

ამ მიზნის მისაღწევად დედ-მამამ პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ და, ამავე დროს, ურთიერთპატივისცემითა და შეთანხმებულად უნდა იმოქმედონ.

ქართველი ქალი ყოველთვის იყო ოჯახის დედა-ბოძი და დღესაც, ემანსიპაციის პირობებში, ისევ მან უნდა შეძლოს მთავარი გამაწონასწორებელი როლის შესრულება ოჯახში და ყველა წევრის ჩაბმა მომავალი თაობის სწორად აღზრდის პროცესში (აქ იგულისხმება ოჯახური საუბრები, საინტერესო თემების განხილვა და სხვა).

სახელმწიფოს ვალდებულებაა, ბავშვები დაიცვას მავნე ზეგავლენებისაგან, შესთავაზოს სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და, ამასთან, სკოლიდანვე შეაჩვიონ პატარები ანალიტიკურ აზროვნებას; უნდა შეიქმნას ფილოსოფიური და ლიტერატურული წრეები, სადაც მოსწავლეები წაიკითხავენ საინტერესო წიგნებს და გაარჩევენ მათ, დაწერენ თავისუფალ თემებს და იმსჯელებენ სხვადასხვა საკითხზე.

ახალგაზრდებმა და, საერთოდ, ნებისმიერმა პიროვნებამ, ღრმა აზროვნების განსავითარებლად საჭიროა იკითხონ როგორც სასულიერო წიგნები, ისე მხატვრული, ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და საბუნებისმეტყველო ლიტერატურა; ამის გარეშე მათი ხედვის დიაპაზონი ვიწრო იქნება და ვერ გააკეთებენ სწორ არჩევანს.

ისინი უნდა აკონტროლებდნენ თავის ფიქრებს, უნდა იცოდნენ, სად არის ოქროს შუალედი, სად უნდა დაედოს ზღვარი მათს აზროვნებას, რომ უფლისაგან მონიჭებული არჩევანის უფლება და თავისუფლება ბოროტის მსახურებად არ აქციონ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ მშობლებს შეუძლიათ ჩათვალონ თავისი ვალი შვილებისა და სამშობლოს წინაშე აღსრულებულად.

დაახლოებით ასეთია მორწმუნის დამოკიდებულება ბედნიერებისადმი.

ყოველივე ზემოთქმული კი ემსახურება ერთ მიზანს, რომ ჩვენ ვისწავლოთ იმ გზებით სიარული, რომელიც ნამდვილ ბედნიერებასა და სიყვარულს გვაზიარებს და რწმენით, ჭეშმარიტებით, სიწმინდით, სიკეთითა და სიხარულით აღგვავსებს.

ამ მადლს არცერთი ეპოქა არ მოიცავდა სრულად, მაგრამ არც ისეთი დრო ყოფილა ოდესმე, რომ სრულად განძარცვული ყოფილიყო იგი ამ წყალობათაგან.

დღესაც, ტექნიკის განვითარებისა და მისი ბატონობის პერიოდში, ამბიციურობის, ცრუ ჰუმანიზმის, ნელ-თბილი რწმენისა და ბოროტთან საიდუმლო გარიგების ხანაში, კვლავ გვესმის აღდგომილი მაცხოვრის იმედისმომცემი და განმამტკიცებელი ხმა:

„მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“ (მთ. 28,20)!

მაშ, ვისი მეშინოდეს, ან ვისგან შევძრწუნდე?

მართალია, ბოროტი ძალა გამუდმებით გვებრძვის, მაგრამ მასზე განუზომლად ძლიერი და დაუსაბამოა ღმერთი, რომელიც მუდამ ჩვენთან არის და დღესაც სააღდგომო ტრაპეზზე გვიხმობს: ქართველებს, ოსებს, რუსებს, აფხაზებს, ბერძნებს, იეზიდებს, უდიებს, ასირიელებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, უკრაინელებს,... როგორც მესამე, ისე მეთერთმეტე ჟამის ქრისტიანებს.

მაშ, რომელნი ხართ კეთილ მსახურნი და ღმრთისმოყვარენი, იშვებდით კეთილსა ამას და ბრწყინვალესა კრებასა; რომელი არს მონაი კეთილგონიერი, შევედინ სიხარულით სიხარულსა ამას უფლისასა... და ყოველთავე მიიღეთ სიმდიდრე სიტკბოებისა..., რამეთუ აღსდგა ქრისტე და დაირღვა ჯოჯოხეთი; აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი; აღსდგა ქრისტე და ცხოვრება მოქალაქობს, აღსდგა ქრისტე და არცაღა ერთი მკუდართაგანიც არს საფლავსა შინა, აღსდგა ქრისტე მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-
პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტი

ილია II

აღდგომა ქრისტესი 2014, 20 აპრილი.

ოდი, ავირჩიოთ ორი მერი

ბოლო კვირების განმავლობაში მსოფლიოს ყველა თავმოყვარე გაზეთისა თუ საინფორმაციო საagენტოს ყურადღების ცენტრში უკრაინასა და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებია. გასაკვირი არაფერია - რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს კატასტროფით ემუქრება.

მშვიდობით, უკრაინა!

„მაიდნის რევოლუციამ“ ჩვენი კეთილი მეგობარი და მეზობელი უკრაინა არა მარტო შინააშლილობამდე და სამოქალაქო ომამდე, არამედ რუსეთთან უმწვავეს დაპირისპირებამდე და სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალურ საშიშროებამდე მიიყვანა. მართალია, თავიდან ევროკავშირიც, აშშ-ც, ნატოც, სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციებიც და თვით ქართული „ვარდების რევოლუციის“ მამინაცვალი გივი თარგამაძეც კლიჩკოსა და მისი რაზმის მხარეს იყვნენ, მაგრამ სულ მალე ვითარება რადიკალურად შეიცვალა – ცივილიზებულმა დასავლეთმა ფრთხილი პოზიცია ამჯობინა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ „აგრესორი“ პუტინის რეიტინგმა რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია.

ჯერ გასულ კვირაში ჩინელ კოლეგასთან შეხვედრისას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის განცხადება გავიხსენოთ: „თუ კიეველი თავგახურებულები დროზე გონს არ მოეგებიან, რუსეთი მზადაა გამანადგურებელი დარტყმისთვის“.

7 აპრილს ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა განაცხადა, რომ ევროკავშირი გმობს უკრაინის ანექსიას, ანექსიის მცდელობასაც კი. ამიტომ მომხრეა ნატოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნისა და მისი უკრაინის დამოუკიდებლობის დასაცავად გამოყენებისა. სულ რაღაც ცხრა დღის შემდეგ, მილოშ ზემანი უკვე რადიკალურად ცვლის „ჩვენებას“: „უკრაინას მართლაც სჭირდება ძლიერი ლიდერი, მაგრამ არა იმ განგსტერებიდან, ახლა რომ არიან ხელისუფლებაში, თუნდაც იყოს მდედრობითი სქესისა, ჰქონდეს ანგელოზური ღიმილი და მშვენიერი ვარცხნილობა“. მისი აზრით, ახლა უკრაინაში მიმდინარეობს დაპირისპირება ორ განგსტერულ დაჯგუფებას შორის. ასეთ ვითარებაში უკრაინას ვერავინ დაეხმარება, მათ შორის, ვერც ევროკავშირი, რადგან ეს დახმარება მოქალაქეებამდე ვერ მიაღწევს და ოლიგარქების ჯიბეებში დაილექება. რასაკვირველია, შოთა მალაშხიამ და გოგა ხაჩიძემ უკეთ იციან, მაგრამ მილოშ ზემანიც არ არის ხელწამოსაკრავი კაცი.

გასულ კვირაში თბილისის ქუჩებში ნაცმოძრაობიდან თბილისის მერობის კანდიდატის ნიკა მელიასა და კაი ხნის წინათ გადაყენებული გიგი უგულავას პორტრეტებით დამშვენებული ბილბორდები გამოჩნდა. ეტყობა, თანაპარტიელები მაინცდამაინც ვერ ენდობიან მელიას ავტორიტეტს და მერად მის „გათრევას“ ისევ ბიუჯეტის ქურდობაში ეჭვმიტანილი უგულავას ხელით აპირებენ.

მეგონა, განგსტერებთან დაკავშირებით ჩეხეთის პრეზიდენტმა ცოტა გადაამლაშა, მაგრამ გასულ კვირაში ლვოვის ოლქში მოხდა ფაქტი, რომელმაც მძიმედ ჩაafიქრა მოაზროვნე კაცობრიობა – ადგილობრივმა ნაციონალისტებმა საზეიმოდ გადაასვენეს 1944 წელს ლვოვში დაღუპული ss-ელები. გადასვენების საზეიმო ცერემონიალისას დაცული იყო ესესისა და, საერთოდ, ფაშისტური გერმანიის არმიის ყველა ტრადიცია: სს-ის ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები, სვასტიკიანი დროშები, საზეიმო მსვლელობა, შმაიზერები, საპატიო ყარაული, შაშხანების ზალპი, ტრადიციულ უკრაინულ ფორმაში გამოწყობილი მწუხარესახიანი ჯენტლმენები...

ამავე დროს, აღმოსავლეთ უკრაინის ოლქებში ადმინისტრაციულ შენობებსა და სამხედრო ბაზებზე ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად და რუსული დროშების ასაფრიალებლად მიმდინარეობს აშკარა შტურმი (თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიასა და მისი მხარდამჭერების საყურადღებოდ – რუსული და არა სლოვაკური ან ფრანგული დროშებისა!)

მოკლედ, ერთი მხრივ, დასავლეთ უკრაინის უმრავლესობის აშკარად გამოხატული სეპარატისტულ-შოვინისტურ-ფაშისტური განწყობა და, მეორე მხრივ, აღმოსავლეთ უკრაინის ასევე აშკარად გამოხატული პრორუსული განწყობა!

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი გაეროს გენერალური მდივნის პან გი მუნის განცხადება, უკრაინას თავისი საზღვრები (სადემარკაციო ხაზები) ოფიციალურად დაფიქსირებული არა აქვს, ხოლო, რაც არ არსებობს (ანუ უკრაინის სახელმწიფოს საზღვრები), იმის დარღვევა ყოვლად შეუძლებელიაო.

გასულ კვირაში გამართლდა ყველაზე უარესი პროგნოზი: ჟენევის ოთხმხრივი შეხვედრის რეზოლუციით რუსეთმა მიიღო ყველაფერი, რაც სურდა და ისიც, რასაც ვერ იოცნებებდა – უკრაინა, ფაქტობრივად, რუსეთის პროვინციად იქცა. არავითარი აგრესია, არავითარი ანექსია, არავითარი ოკუპაცია: ევროკავშირისა და აშშ-ს ხელშეწყობით რუსეთის ყოფნა მოძმე უკრაინაში დაკანონებულია.

ბარემ საქართველოსა და დანარჩენი მსოფლიოს ბავშვების დიდი მეგობრის, ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის მიერ გასულ კვირაში გაკეთებულ ერთ საინტერესო განცხადებასაც გაგაცნობთ: „როდესაც 2008 წელს საქართველოში შეიჭრა, მისი (რუსეთის) ტანკები შუა გზამდე ძლივს მივიდნენ, მისმა დაჟანგულმა რაკეტებმა კი ვერ შეძლეს გამკლავებოდნენ ქართულ შეიარაღებას. მისმა მოძველებულმა ტექნიკამ და ჯარისკაცებმა ვერ შეძლეს შეესრულებინათ ოფიცრების ბრძანებები. ამიტომაც რუსეთის „წითელი არმია“ საქართველოში, 2008 წელს დამარცხდა.“

ეს რომ დიდ ქართველ ანალიტიკოსს გოგა ხაჩიძეს ეთქვა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ რასმუსენისგან ნამდვილად არ ველოდი – ეს ბიჭი, მგონი, საწყალ უკრაინელებს აგიჟებს!

საერთოდ, ანალიზის გაკეთება რთული საქმეა და მე როგორ გავბედავ, მით უფრო აგერაა შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ყოფილი უფროსი შოთა უტიაშვილი: ტელეკომპანია „ტაბულაში“ გამოსვლისას მან ბრძანა, ზოგჯერ ომის წაგება საჭიროა, რომ მერე ისევ იომოო. მართალია, დედა მიგიჯირყვნება, სამაგიეროდ, ტელევიზიები წალეკავენ ქვეყნიერებას და მაგარი „პაპულიარნი“ გახდებიო, რუსეთსაც ნიღაბს ჩამოხსნიო! რაც მთავარია, მის ამ გამოსვლას კვერი დაუკრეს „პროსტა“ ჟურნალისტმა თამარ ჩერგოლეიშვილმა და დიდმა პოლიტიკოსმა გოკა გაბაშვილმა.

მოკლედ, თუ რასმუსენს და მიშას „კამანდას“ დაუჯერეს, უკრაინელების საქმე წასულია.

მშვიდობით, საქართველო!

გასულ კვირაში საქართველოს ევროინტეგრაციასა და რუსეთის დასამარებაზე მეოცნებე საზოგადოებაში დიდი აღტყინება გამოიწვია აშშ-ს პრეზიდენტის ბარაქ ობამას გამოსვლამ, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის ევროპას გაზი საკუთარი რეზერვებიდან მიაწოდოსო. თანაც იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება მოძმე ევროპის გასათბობად, გასაძღომად და გასანათებლადო. ეს ნიშნავს, რომ მეგობარი ამერიკა მზადაა, დღემდე დაკონსერვებული თავისი მარაგები გახსნას და ევროპა რუსის კლანჭებისგან იხსნას.

ამერიკის ეს ნაბიჯი არა მარტო ევროპას გაუხსნის ხელ-ფეხს, არამედ რუსეთსაც დაააჩოქებს და შემადგენელ ნაწილებად დაშლის, ანუ კაცობრიობა საქართველოსთან ერთად გიგანტური ნაბიჯებით გაემართება სანეტარო მომავლისაკენ.

ბატონ ობამას არ დაუზუსტებია, რამდენი ხანი დასჭირდება ამერიკიდან ევროპამდე გაზსადენის მშენებლობას და რა მარშრუტით წამოგრიალდება გაზი. არც ის უთქვამს, რა შეიძლება ელოდეს საქართველოს რუსეთის მარტივ მამრავლებად დაშლის შემთხვევაში.

არადა, ჩვენთვის, საქართველოსათვის განსაკუთრებით საშიში რუსეთის დაშლა იქნებოდა: ვინ დაიცავს საქართველოს ჩრდილოკავკასიელი ძმებისაგან? სიტყვა „საშიში“, მგონი, ცოტა უადგილოდ ვიხმარე – ურუსეთოდ დარჩენილი ჩრდილოეთ კავკასიის პირობებში საქართველოს გასავერანებლად და მიწის პირისაგან აღსაგველად ორიოდე წელიწადიც საკმარისზე მეტი იქნება.

საეჭვო დამთხვევა

კი ბატონო, რუსი აგრესორია, ასეთია, ისეთიც კია, მაგრამ იგი არსებობს, იგი საშიშია და მასთან დიალოგი აუცილებელია (სანამ გივი თარგამაძე დაშლიდეს, მანამ მაინც!). ასეთი დიალოგი უმაღლეს დონეზე უახლოეს მომავალში გაიმართება. დიალოგის ერთი მონაწილის პერსონა ისედაც ცნობილი იყო – პრეზიდენტი პუტინი. მეორის ვინაობის დასადგენად კი საქართველოში დიდი აზრთა სხვაობაა. უფრო ზუსტად, არაფორმალური (ნამდვილი) „უმაღლესი“ კი ცნობილია, მაგრამ ვერ ვთანხმდებოდით, ვინ უნდა ყოფილიყო დანარჩენებზე მაღალი და ნამდვილ უმაღლესზე დაბალი უმაღლესი – პრემიერი ღარიბაშვილი თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი? გასულ კვირაში ეს პრობლემაც წარმატებით გადავჭერით, უფრო ზუსტად, გადაჭრა პარლამენტმა – უმაღლესი პერსონა პრემიერი ღარიბაშვილია და პრეზიდენტ პუტინსაც ის შეხვდება!

მანამდე კი ერთმანეთს პრაღაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარასინი და ჩვენი ზურაბ აბაშიძე შეხვდნენ. შესაძლოა, მათ პრეზიდენტ პუტინისა და პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრის მოსამზადებელ დეტალებზეც ესაუბრათ.

საინტერესოა, რომ მათი შეხვედრის მიმდინარეობისას, რუსმა მესაზღვრეებმა გორის რაიონში ქართული TV-3-ის სამი ჟურნალისტი დააკავეს, ანუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში სწორედ მოლაპარაკებების მიმდინარეობისას შეიქმნა უაღრესად კონფლიქტური ვითარება.

ალბათ, ამიტომაც გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჟურნალისტების დაკავება ინსპირირებული იყო რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დალაგების მოწინააღმდეგეთა მიერ.

წარმოიდგინეთ, ეს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტიდან დავით ნარმანიას გადადგომაც კი დაჩრდილა. ნარმანია კი, როგორც სინდისიერ კაცს შეეფერება, მინისტრის პოსტიდან თბილისის მერის პოსტის მაძიებლებში გადანაცვლების გამო გადადგა.

მერზე გამახსენდა, გასულ კვირაში თბილისის ქუჩებში ნაცმოძრაობიდან თბილისის მერობის კანდიდატის ნიკა მელიასა და კაი ხნის წინათ გადაყენებული გიგი უგულავას პორტრეტებით დამშვენებული ბილბორდები გამოჩნდა. ეტყობა, თანაპარტიელები მაინცდამაინც ვერ ენდობიან მელიას ავტორიტეტს და მერად მის „გათრევას“ ისევ ბიუჯეტის ქურდობაში ეჭვმიტანილი უგულავას ხელით აპირებენ.

ისე, მერად ნიკა და გიგი ორივე ერთად რომ ავირჩიოთ, რა მოხდება? – ბილბორდებზე ძალიან უხდებიან ერთმანეთს.

მერული ცეკვა-ცხელება

მინდა, მოგილოცოთ, ძვირფასო თბილისელებო – თქვენი კეთილდღეობისათვის თავგადადებულთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. არენაზე უკვე გამოჩნდა მხოლოდ თქვენთვის გაერთიანებული კოალიცია „ალიანსი – ევროატლანტიკური არჩევანი“ (მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ – **ს. ჯავახიძე**; „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – **ბ. ქარდავა**; „სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის“ – **ზ. ხარატიშვილი**; „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“ – **გ. ჯოჯუა**; „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ – **თ. ჩხეიძე**; „მერაბ კოსტავას საზოგადოება“ – **ვ. ადამია**; „საქართველოს ქალთა პარტია“ – **ხ. მაჭავარიანი**; კოალიციის პოლიტიკურ საბჭოს ედპ-ს თავმჯდომარე **ბაჩუკი ქარდავა** უხელმძღვანელებს.

16 აპრილს სასტუმრო „შერატონ მეტეხი-პალასიდან“ საზოგადოების წინაშე წარსდგა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება რეფორმატორები“ საზოგადოებრივი ინიციატივების ცენტრის ხელმძღვანელის **ირაკლი ღლონტის** მეთაურობით.

ერთობ სერიოზული განზრახვა აქვთ კახა კუკავასა და საღმე ზურაბიშვილს; შეიქმნა კიდევ ერთი გაერთიანება **დავით თარხან-მოურავის** თავმჯდომარეობით; გამორიცხული არ არის, ჩვენი დაჟინებული თხოვნის შემდეგ მერობაზე კენჭისყრას **მიხეილ-გელა სალუაშვილი და შალვა ნათელაშვილიც კი დათანხმდნენ.** ჯერჯერობით ცნობილი არ არის, რას აპირებენ **თენგიზ კიტოვანი** და **ლოთი ქობალია.**

არჩევნებში ნამდვილად გვიმართლებს!

სად არის ქართული მწერლობა?

გასულ კვირაში პატივი დაგვდო და თავისი მწვავე განცხადებით თავი შეგვახსენა ბატონმა გივი სიხარულიძემ. რამე რომ არ შემეშალოს, მოვიყვან ციტატას საინფორმაციო სააგენტოების მიერ გავრცელებული მისი განცხადებიდან:

„ეს ბუღაძეები, დეისაძეები, ქარუმიძეები, ბურჭულაძეები არც გიჟები არიან და არც ავადმყოფები, ესენი არიან კარგად გააზრებული ნაძირლები, რომლებმაც მშვენივრად იციან, რა არის საქართველო და სწორედ იმისთვის იბრძვიან, რომ საქართველო თავისი დიადი კულტურით, ისტორიითა და სულიერებით მიწაში ჩადონ!... როცა ბურჭულაძემ პირველად დაწერა, რომ მას დედამისზე „უდგება“ აი, მაშინ უნდა მივარდნილიყო მთელი საქართველო, გამოეყვანათ ეს ნაძირალა და გაეძევებინათ საქართველოდან, იმიტომ რომ ასეთი ქართველი არ სჭირდება საქართველოს“.

ამას ამბობს გივი სიხარულიძე – წარსულში კარგი მოცეკვავე და ქალების გულთა მპყრობელი, ახლა ქართველ მწერალთა ეროვნული აკადემიის უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ყველა რანგის ქართული ტელევიზიების უცვლელი ბრენდი, კაი მოქეიფე და მოღადავე ბიჭი, საშუალოდ უნიჭო მსახიობი, უნიჭო პოეტი, კიდევ უფრო უნიჭო მწერალი და კიდევ უფრო უნიჭო პუბლიცისტი.

ეს ბუღაძეები და სხვები „ცუდები“ არიან თუ „კარგები“, ეს უნდა თქვას ქართულმა ლიტერატურის კრიტიკამ, პუბლიცისტიკამ, მწერლობამ და არა კაი ბიჭმა გივი სიხარულიძემ. როცა ამას ამბობს ბატონი გივი, ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მწერლობა მომკვდარა.

იმედია, ქართველ მწერალთა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრ-კორესპონდენტები არ დაგვზარდებიან და დაგვარწმუნებენ ჩემი აღშფოთების უსაფუძვლობასა და გივი სიხარულიძის მწერლობაში.

იქნებ, მწერლებმაც თქვან ორიოდე სიტყვა...

მიხეილ დარახველიძე

◎ ანგარიში

მავანის „არაკომპეტენტური“ შეურაცხმყოფელია, ნიკა გვარამიასი კი – არა?!

ყველას უნდა სწამდეს, რომ მას უსაფუძვლოდ არ დაჩაგრავენ

იმაზე, თუ რა ხდება ქართულ მართლმსაჯულებაში, როგორც იქცევიან მოსამართლეები, რამდენად სამართლიან გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი კანონიდან და შინაგანი რწმენიდან გამომდინარე და, ზოგადად, არის თუ არა სასამართლო რეალურად დამოუკიდებელი, დიდხანს შეიძლება მსჯელობა და დებატი. თუმცა, ქვემოთ მინდა, წარმოგიდგინოთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონიტორების შესწავლილი გარემოება და ფაქტები, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმოდგენას შეგვიქმნიან ქართულ სასამართლოებში მიმდინარე პროცესებზე.

ეს ეხება გასული წლის მეორე ნახევარში თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში ჩატარებულ 538 სასამართლო პროცესებს. მსგავს მონიტორინგს საია 2011 წლიდან ატარებს. მონიტორების მტკიცებით, წინა პერიოდთან შედარებით, მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებულობის კუთხით. თუ ადრე მოსამართლეები უპირობოდ ეთანხმებოდნენ პროკურორის მოთხოვნებს, ახლა ვითარება შეიცვალა. მაგრამ რაც შეეხება გირაოს, ის უფრო ნაკლებ ბრალდებულს შეეფარდა, ვიდრე წინა პერიოდში.

საიას ანგარიშში მოხვდა საქმე, როცა მოსამართლე სასჯელის სამართლიანობით დაინტერესდა. სამწუხაროდ, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა მოსამართლემ დასვა დამატებითი შეკითხვები საპროცესო შეთანხმების სამართლიანობის განსასაზღვრად.

საქმე შეეხებოდა ძარცვას – ერთი ქილა ლუდის მიტაცებას. მოსამართლემ პროკურორს ჰკითხა, რატომ ითხოვდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთას, როცა ზარალი იყო 2 ლარი და 70 თეთრი – ნახევარლიტრიანი ლუდის საფასური? პროკურორმა აუხსნა, რომ პირს ეს დანაშაული ადრეც ჰქონდა ჩადენილი. ამის შემდეგ მოსამართლემ ბრალდებულსაც ჰკითხა, მიაჩნდა თუ არა მას სამართლიანად ეს სასჯელი და მისი თანხმობის შემდეგ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

საიას მონიტორები მიიჩნევენ, რომ მოსამართლეები არაერთგვაროვნად უდგებიან ამა თუ იმ საკითხს. ეს განსაკუთრებით თვალნათელი გახდა გახმაურებულ საქმეებში:

მაგალითად, სასამართლო არაერთგვაროვნად წყვეტდა მოწმისთვის დასმული შეკითხვის განრიდების საკითხს: თუ ივანე მერაბიშვილის სხდომებზე, როდესაც მხარე უკვე პასუხგაუცემელ კითხვასთან დაკავშირებით გამოთქვამდა პროტესტს, მოსამართლე უპასუხებდა, რომ პროტესტი დააგვიანა და შეკითხვას დასაშვებად მიიჩნევდა, ხოლო ბაჩანა ახალაიას პროცესზე ასეთ კითხვასაც და პასუხსაც დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობდა.

მონიტორებს ცუდად ენიშნათ ასეთი ფაქტიც: ნიკოლოზ გვარამიას საქმეში, რომელთან ერთადაც სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებიც იყვნენ ბრალდებულები, მოსამართლემ მათ მხოლოდ 10-10 წუთი განუსაზღვრა საბოლოო სიტყვით სათქმელად. ყველას მკაცრად მოსთხოვა დროში ჩატევა. მაგრამ მოსამართლემ ნიკოლოზ გვარამიას შესაძლებლობა მისცა, მთელი 30 წუთი ესაუბრა.

ამავე საქმეში როდესაც ერთ-ერთი ბრალდებული ალექსანდრე ხეთაგური პროკურორს „არაკომპეტენტურად“ მოიხსენიებდა, პროკურორის პროტესტის შემდეგ მოსამართლე ახსენებდა მას, დაეცვა კორექტულობა. მაგრამ, როცა ნიკოლოზ გვარამიამ სწორედ იმავე ტერმინით მოიხსენია პროკურორი, ამ უკანასკნელის პროტესტზე მოსამართლემ უპასუხა, რომ „არაკომპეტენტური“ შეურაცხყოფას არ ნიშნავს.

ასეთი ფაქტების შემდეგ კი „ალბათ“ მკითხველსაც გაუჩნდება კითხვა, რამდენად კომპეტენტურია ასეთი მოსამართლე, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც, პირიქით, ცდილობენ ყველანაირად შეუწყონ ხელი პროცესის სამართლიან წარმართვას. აი, ასეთი ფაქტი: მოსამართლე ადვოკატს ეკითხება:

– „იცნობთ საქმის მასალებს?“

– „ისე რა, გუშინ ჩავერთე საქმეში“, – უპასუხებს ადვოკატი.

მოსამართლე: – ანუ არ იცნობთ საქმის მასალებს?

ადვოკატი: – ბრალდებულისგან ვიცი.

მოსამართლე: – რამდენი დრო გჭირდებათ საქმის მასალების გასაცნობად?

ადვოკატი: – 20 წუთი. იქნებ საქმის მასალები მომაწოდოთ.

მოსამართლე: – ქალბატონო ადვოკატო, საქმის მასალები გადაცემული აქვს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფს და როდესაც პროცესზე გამოდიხართ, მომზადებული უნდა იყოთ, რათა სრულყოფილად დაიცვათ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები. ახალი სისხლის სამართლის პროცესი არ ითვალისწინებს საქმის მასალების ხელახლა გადმოცემას, თუმცა, ახლა გამონაკლისს დავუშვებ“.

ასეთი შემთხვევები კარგი მაგალითია იმისა, რომ ჩვენს მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებსაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ სასწავლი, რათა სტანდარტებს შეესაბამებოდნენ.

ანგარიშში მოხვდა ფაქტი, როცა ერთდროულად დაარღვიეს ყველა ეთიკური ნორმა და უდანაშაულობის პრეზუმფცია პროკურორმა, პოლიციელმა და მანდატურმა.

პირი, რომელსაც მკვლელობას აბრალებენ, ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს, მაგრამ გაამტყუნეს ხულიგნობის ბრალდების ნაწილში. სწორედ ამასთან დაკავშირებით იმართება სხდომა. ბრალდებული სხდომის დაწყების წინ ფანჯრის რაფაზე ტანით უკან გადახრილი იჯდა. მანდატურმა აგრესიულად მიმართა: „რას წამოწოლილხარ, საბანიც ხომ არ მოგართვაო?“ „რა გინდა, ძმაო?“ – იყო პასუხი. ამ დროს მასთან პროკურორი მივიდა და განაცხადა: „კიდევ რომ გრძელი ენით ლაპარაკობს. ეს მკვლელები გამოუშვეს ნაფიცებმა, ესაა ჩვენი სისტემა და ნაფიცები!“. ამ ფაქტს შეესწრო პოლიციელი, რომელმაც შესთავაზა პროკურორს: „ხომ არ დავაკავო ადმინისტრაციული წესითაც“, რაზეც პროკურორმა უარი უთხრა.

მოკლედ, პროკურორმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, მანდატურმა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება გამოავლინა გამართლებული პირის მიმართ, ხოლო პოლიციელმა გამოავლინა მიდრეკილება უფლებამოსილების გადამეტებისკენ.

ასეთი ბევრი შემთხვევა აისახა ანგარიშში, რომელიც სანამ საზოგადოებას წარედგინებოდა, გასაცნობად გადაეცათ სასამართლოებს თანდართული რეკომენდაციებით. ვერ გეტყვით, თვალი გადაავლეს, გადაიკითხეს თუ საერთოდ გვერდზე გადადეს მოსამართლეებმა მოცულობითი წიგნი, მაგრამ ხვალ და ზეგ რა ვითარება გვექნება მართლმსაჯულებაში, შეცდომათა გამოსწორებაზე აშკარად არის დამოკიდებული. ესეც უდავოა! არც ერთი სასამართლო პროცესი სასიამოვნო შეგრძნებას არ აღძრავს, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მას უსაფუძვლოდ არ დაჩაგრავენ!

თეა მოსია

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ჰა, შეივსო თბილისი?

● დროზე დაბრუნდით უკან, თორე ინდოჩინელები და ხოხბები პაპალამ ვართ!

● თითომ თითო „მერ-კანდიდატი“ ჩამოიყოლეთ!

აი იმ გოგო„ნ“ების და ბიჭუნების ტვინებში ჩამახედა....აი როგორ ვთქვა, როგორ გადმოვცე აქ არ ვიცი. აი, Jesus risen-ს რო წერენ რა ფორ იგზამფლ. ..ეს ფბ მლოცველობის ახალი სთაილია თუ „რა სდებაააა“?

● შე მამა ცხონებულო, მანქანაში რომ კაცი ზის და ასე მიგყავს „სითი პარკში“ საჯარიმოზე არ უნდა შეიხედო, „მაშინაში“ ვინმე ზის თუ არა? P.S. მეგობარი წაუყვანიათ აგერ საჯარმოზე, საჭესთან ჩაძინებია. ესეც კაი ქინძი... რომ მიყავხართ, ვერ უნდა გაიღვიძო ჯაყჯაყზე მაინც? რას არ გაიგებ.

● ახლა ვზივარ და მიყრის და მიყრის მეგობრების ფოტოებს კედელი, მიხარია, რომ ვუყურებ იმას, რომ მგონი ერთი ტრადიცია, ანუ სახლში ჩაჯდომის და თუნდაც ყავის დალევის აღსდგა, დღესასწაულების ოჯახებში აღნიშვნის, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლის და თბილი გაღიმების... ეტყობა დავიღალეთ ამ შარდენებზე აღდგომების აღნიშვნით და განაკუთრებით ერთ ჭიქა ყავაში ნასესხები 70 ლარი (პირობითად) რომ უნდა თხლიშო და გაწეწილი რომ ბრუნდები სახლში (ვითომ საკაიფო) პონტში...

P.S. ქართული მარიაჟი გენი ისვენებს ეტყობა...

● ხვალიდან უფრო POLIT-აგრესიული გავხდები და არ მიწყინოთ, პატივცემულებო...

P.S. ზრდილობის და ეთიკის ნორმებს არ გადავალ არას დიდებით და სხვასაც ამას ვურჩევ...

● არ მიყვარს არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება და ცუდი სიტყვების ცუდად ხმარება, მაგრამ ნაცმოძრაობის (გახსოვთ ასეთი?), ნაცმოძრაობის კრეატივს დეგენერატი ხელმძღვანელობს.

ამაში ორი აზრი არ არსებობს. არც სამი.

ქალაქში ბანერებზე მელიას გვერდს უგულავა უმშვენებს.

ანუ მათი თვალთ-გადახედვით, უგულავა – ეს დადებითი პერსონაჟია. და მისი გამოსახულება მელიას ზედმეტ ნახევარ ქულას შესძენს.

უცნაური იქნებოდა ეს ყველაფერი, უცნაური რომ არ ყოფილიყო.

ნაციკების მლოცველები მელიას მაინც მისცემენ ხმას, გვერდზე ბენდუქიძის ქვედა ნაწილი რომ მიაფოტოშოპო, ან ხაბაზის სამკბილიანი ღიმილი, ან ვანოს სიმწიფის ატესტატი, ან ლაზიკის ხუთვარსკვლავიანი კურორტები...

და დანარჩენ, ნორმალური ფსიქიკის ამომრჩევლებზე უგულავას ზედმეტად დანახვა გაღიზიანებისა და ცუდი სიტყვების გამოთქმით თქმის მეტს არაფერს არ გამოიწვევს.

ნაციკებო, თქვენი კრეატიული დირექცია დაარბიეთ და ახლები აიყვანეთ.

თუმცა, თქვენთან ვინ მოვა საღი და ნორმალური?

ერთი დეფი თუ მოვა, თავის გაქონილი ბერეტით.

● ჩემი ე.წ. ტელეკოლეგების გამკვირვებია. ამ უგულავას რომ მიალოცვინეთ საქართველოსთვის აღდგომა და მიაწერეთ: – გიგი უგულავა, ნაციონალური მოძრაობის წევრიო, რავა, სხვა პარტიების წევრებმა დააშავეს რამე?

● თუ საპარლამენტო ოპოზიციური პარტია გინდათ, დავით ბაქრაძემ წისლი გკრათ? თუ თბილისის მერია გინდათ – სევდია უგრეხელიძე იეღოველია თუ შამანის საყვარელი? თუ კრიმინალი და პასუხისგებაში მიცემული ადამიანი მაგის მეტი რა გვყავს?

● ისე გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენი გადაიხადა უგულავამ, ტელევიზორში რომ გეჩვენებინათ (თუ თქვენი ინიციატივით ალაპარაკეთ, მაშინ ჟურნალისტები კი არა, ჩვეულებრივი იდიოტები ყოფილხართ!)

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ გლობალიზაციის პირისპირ

უკრაინის კრიზისმა „სამხრეთ ნაკადი“ შეინირა

ევროპარლამენტმა „სამხრეთ ნაკადის“ შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო და ევროკავშირს მოუწოდა, უკრაინას რუსეთთან გაზის საკითხში არსებულ დავაში დაეხმაროს. ეს ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული გადაწყვეტილებაა, რომლის მიღება ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მოხერხდა.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში, რომელსაც სტრასბურგში უყარეს კენჭი, აღნიშნულია, რომ **„ევროპარლამენტი მიიჩნევს, რომ გაზსადენი „სამხრეთის ნაკადი“ არ უნდა აშენდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მიწოდების სხვა წყაროები“.**

გარდა ამისა, ევროპარლამენტარები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის დახმარება უკრაინისადმი გაზით უზრუნველყოფაში და ევროკავშირთან აქტიური ურთიერთკავშირები კიევს უსაფრთხოს გახდის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისგან.

ცნობილია, რომ ამ დროისთვის ბულგარეთმა თავის ტერიტორიაზე ნავთობსადენის „სამხრეთ ნაკადის“ იმ მილების დემონტაჟი განახორციელა, რომელიც 2013 წელს რუსული „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან ერთად დამონტაჟდა, როგორც „სამხრეთ ნაკადის“ დაწყების სიმბოლო.

თუმცა „სამხრეთ ნაკადს“, შესაძლოა, დამცველად თურქეთი მოევლინოს. ამ ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთი „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენის თავის ტერიტორიაზე გატარების საკითხს განიხილავს. ტანერ ილდიზმა დაადასტურა, რომ მილსადენის თურქეთის ტერიტორიაზე გატარების შესახებ მომავალ კვირაში ანკარაში დაგეგმილ შეხვედრაზე იმსჯელებენ. თურქეთის ენერგეტიკის მინისტრი რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომის“ ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრ მედვედევთან გამართავს მოლაპარაკებებს.

თურქეთის ენერგეტიკის მინისტრ ტანერ ილდიზს არ დაუზუსტებია, რას შეცვლის „სამხრეთის ნაკადის“ მილსადენის ბულგარეთის ნაცვლად თურქეთის ტერიტორიაზე გატარება. არსებულ პროექტში „გაზპრომის“ ევროპელი პარტნიორები არიან იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის კომპანიები. ვინ ჩაენაცვლება წამყვანი ევროპული ქვეყნების კორპორაციებს, ცნობილი არ არის.

ევროპა კი ფორსირებულ რეჟიმში განაგრძობს გაზისა და ნავთობის მიწოდების ალტერნატიული გზების მოძიებას. აქტუალური გახდა აზერბაიჯანიდან გაზსადენის დაჩქარებული გაყვანა სამხრეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოსა და თურქეთის გავლით. შაჰდენიზის გაზსადენის პროექტი 2012 წელს დაიწყო, თუმცა, ამჟამად მისი გაფართოება იგეგმება თურქმენეთის გაზის საბადოების ხარჯზე.

თურქმენეთი თავისი გაზის უდიდეს მარაგს წლების განმავლობაში ევროპაში აგზავნიდა რუსეთის გავლით, თუმცა, მისთვის წამგებიანი პირობებით: ქვეყანა გაზს ჯერ რუსულ „გაზპრომზე“ ყიდდა, ხოლო ამ უკანასკნელს ბუნებრივი აირი გასამმაგებული ფასით გაჰქონდა საზღვარგარეთ, როგორც რუსული გაზი.

არაოფიციალური ინფორმაციით, თურქმენეთის მთავრობა უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს აზერბაიჯანთან კასპიის ზღვის ფსკერიდან მოპოვებული გაზის ევროპაში გასატანად. როგორც ცნობილია, მოლაპარაკებებში აქტიურად არის ჩართული ევროპული მხარეც. სავარაუდოა, რომ ახალი გაზსადენი რუსულ „სამხრეთის ნაკადს“ ჩაანაცვლებს.

და ბოლოს, უკრაინის კრიზისი მკვეთრად უარყოფითად აისახა „გაზპრომის“ აქციებზე. 2007 წელს კრემლში ვარაუდობდნენ, რომ „გაზპრომის“ კაპიტალი ოთხჯერ გაიზრდებოდა და 1 ტრილიონ დოლარს მიაღწევდა. ახლა აღმოჩნდა, რომ „გაზპრომს“ მსოფლიოს 5000 უმსხვილეს კომპანიას შორის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს. სამი წლის განმავლობაში მისი აქციები საფონდო ბირჟებზე პერმანენტულად ეცემოდა, რაც რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსიდან გამომდინარეობს.

გეძა დანელია

◎ მილსადენი

შაჰ-დენიზიდან — იტალიამდე, ადრიატიკის ზღვის ფსკერის გავლით

ბოლო თვეების მანძილზე უკრაინაში მიმდინარე უმძაფრესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა ევროპელებს კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაანახვეს, რაოდენ მნიშვნელოვანია მათთვის საკუთარი ენერგოუსაფრთხოება. ამ შემთხვევაში ლაპარაკია, კერძოდ, რუსეთული გაზის ალტერნატიული წყაროებიდან ამ უმნიშვნელოვანესი ენერგოშემცველის მიღების შესაძლებლობებზე.

ამ თვალსაზრისით, კასპიის ზღვის აზერბაიჯანის შელფზე ახალ საბადოზე „შაჰ-დენიზ-2“-ზე საექსპლუატაციო სამუშაოებისა და ათვისების შედეგად, ევროპის ქვეყნები რუსეთული გაზის ალტერნატიულ წყაროს გაიჩენენ. „შაჰ-დენიზი 2“ ახალი საბადოდან გაზის ევროპაში მიწოდების პროექტის განხორციელება 28 მილიარდი დოლარი ეღირება, ხოლო მოპოვების თვალსაზრისით საპროექტო სიმძლავრეს საბადო, რომლიდანაც ბუნებრივი გაზის პირველ ნაკადს 2018 წელს მიიღებენ, საექსპერტო გათვლით, 2019 წლის ბოლოს მიაღწევს.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, აზერბაიჯანს ევროპის გაზის ბაზარზე პირდაპირი გზა გაეხსნება, რის შედეგ ამოქმედებიდან პირველსავე წელს 10 მილიარდი კუბური მეტრი ენერგოშემცველის მიწოდებას შეძლებს, რაც ევროკავშირის სამხრეთი ნაწილის ქვეყნებისთვის — იტალიის, საბერძნეთისა და ბულგარეთისთვისაა განკუთვნილი. გარდა ამისა, კიდევ 6 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს თურქეთი მიიღებს. ვარაუდობენ, რომ „შაჰ-დენიზი-2“ საბადოზე ენერგოშემცველის მოპოვების პიკი 2020-2022 წლებში მიაღწევს და წელიწადში 16 მილიარდ კუბურ მეტრი იქნება.

„შაჰ-დენიზი-2“-დან ევროპის ქვეყნები ბუნებრივ გაზს ტრანსადრიატიკის მილსადენით მიიღებენ, ხოლო თურქეთის ტერიტორიაზე ენერგოშემცველის ტრანსპორტირებისთვის გაზსადენი „თანაფი“ აშენდება. **ტრანსადრიატიკის მილსადენი, რომლის მთლიანი სიგრძე 3,5 ათასი კილომეტრი იქნება, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის ტერიტორიაზე გაივლის, რის შემდგომ იგი ადრიატიკის ზღვის ფსკერით იტალიაში გადავა.** ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტრანსადრიატიკის მილსადენი რუსეთული გიგანტი სახელმწიფო გაზის კომპანიის „გაზპრომის“ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ნაკადის გაზსადენის ალტერნატივაა, რომელიც, არსებული გეგმით, გაისად უნდა ამოქმედდეს. სამხრეთ ნაკადის მილსადენი კი რუსეთიდან იტალიამდე ბალკანეთის ქვეყნების გავლით მიაღწევს.

ეს რაც შეეხება ევროპის ქვეყნების დაინტერესებას რუსეთული ენერგეტიკული დიქტატისგან თავის დასაცავად და საკუთარი ენერგოუსაფრთხოების ხარისხის ასამაღლებლად „შაჰ-დენიზ 2“-ის საბადოს მეორე უბნიდან ბუნებრივი გაზის მიღებით სისხლხორცეულ დაინტერესებას. **თუ ვილაპარაკებთ ტრანსადრიატიკის გაზსადენით საქართველოს დაინტერესების დაინტერესების თაობაზე, აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე მისი მონაკვეთის მშენებლობა დაახლოებით 500 მილიონი დოლარის ინვესტირებას გულისხმობს.** ამასთან, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მრავალი ექსპერტის აზრით, ტრანსადრიატიკის გაზსადენით გატარებული ენერგოშემცველის მთლიანი მოცულობიდან საქართველოსთვის განკუთვნილი 5-პროცენტიანი კვოტა მცირეა, რასაც შესაბამის მოლაპარაკებებზე ქვეყნის მთავრობის არასაკმარისად მტკიცე პოზიციის დაკავებით ხსნიან და იმასაც დასძენენ, რომ „შაჰ-დენიზიდან“ პირველი მილსადენის გაყვანის დროსაც იგივე ვითარება იყო, თუმცა კი მაშინ საქართველოს მდგომარეობა გაცილებით უფრო არასახარბიელო გახლდათ როგორც საერთაშორისო ბაზარზე, ისე შიდა მდგომარეობის მხრივაც, ამდენად საქმე, არსებითად, ქვეყნის გადარჩენაზე იყო.

ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ ტრანსადრიატიკის პროექტის განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოება. ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ სამომავლოდ თურქეთის მიმართულებით დამატებით წელიწადში კიდევ 16 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება გახდეს შესაძლებელი. ამის გარდა, **დაგეგმილია პარალელური მილსადენის მშენებლობაც, რომლის 387 კილომეტრი აზერბაიჯანის, 55 კილომეტრი კი საქართველოს ტერიტორიაზე გაივლის. მილსადენის მუშაობის ნორმალური რეჟიმის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მონაკვეთზე ორი დამატებითი საკომპრესორი სადგური, წნევის რეგულირებისა და გაზმზომი სადგურის ინსტალაცია აიგება.**

კონსორციუმთან სადღეისოდ არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს ტრანზიტით გატარებული გაზის მოცულობის ხუთი პროცენტის შეღავათიან ფასად შესყიდვაა გათვალისწინებული, რაც გაზსადენის მაქსიმალურად დატვირთვის პირობებში წელიწადში დამატებით დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიღებას ნიშნავს. რაც შეეხება ეროვნული ეკონომიკის მიერ პარალელური მილსადენის მშენებლობით მიღებულ სარგებელს, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ნავსადგურებისა და რკინიგზის გამოყენებით დაახლოებით 350 ათასი ტონა სამშენებლო ტვირთი გადაიზიდება, რაც ბოლო დროს შემცირებული ტვირთბრუნვის პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ინფორმაცია თემაში

გაზისა და ნავთობის ნორვეგიულმა კომპანიამ „სტატოილმა“, რომელიც შაჰ-დენიზის გაზის საბადოს კონსორციუმის წევრია, განაცხადა, რომ თავისი 25,5-პროცენტიანი წილიდან 10 პროცენტს 1,45 მილიარდ დოლარად ჰყიდის. აღნიშნული 10-პროცენტიანი პაკეტიდან 6,7-პროცენტიან წილს აზერბაიჯანული „სოკარი“, ხოლო 3,3-პროცენტიან წილს „ბრიტიშ პეტროლეუმი“ იყიდიან. სადღეისოდ, „ბრიტიშ პეტროლეუმს“, როგორც პროექტის ოპერატორს, კონსორციუმში 25,5 პროცენტი ეკუთვნის, სხვა წევრებს, მათ შორის „სოკარს“, „ნიკოს“, „ტოტალსა“ და „ლუკოილს“— 10-10 პროცენტი, TPAO-ს — 3 პროცენტი ეკუთვნით.

◎ ალიან-ჩალიანი

არჩევნებში მონაწილეობისთვის ცესკოში განაცხადი 34-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ შეიტანა

როგორც ცესკოს სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა, მათს რეგისტრაციასთან დაკავშირებით ცესკოს თავმჯდომარე გადაწყვეტილებას მხარდამჭერთა სიების შემოწმების შემდეგ მიიღებს.

„განაცხადი შემოტანილი აქვს 34 პოლიტიკურ ძალას, მათ შორის არის 2 ბლოკი, დანარჩენი — პარტიები. რაც შეეხება რეგისტრაციის ვადებს, განსხვავებული პირობები არის პარტიებისთვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი პარლამენტში, არ მონაწილეობდნენ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და ასევე არ არიან კვალიფიციური სუბიექტები, მათ ჯერ ცესკოში მხარდამჭეთა სიები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 26 აპრილისა. ამის შემდეგ შემოწმდება მხარდამჭერთა სიები და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე ცესკოს თავმჯდომარე მიიღებს გადაწყვეტილებას რეგისტრაციასთან დაკავშირებით, — განაცხადა ეკა აზარაშვილმა.

მთავრობაში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის დავით საგანელიძის ინფორმაციით, მთავრობაში საკადრო ცვლილებები არ იგეგმება.

— აჟიოტაჟი ამ თემის გარშემო ჩემთვის ცოტა გაუგებარია. მთავრობაში ცვლილებები არ იგეგმება, თუმცა, ზოგადად, რაღაც პერიოდში, ყოველთვის შეიძლება რაიმე ცვლილება განხორციელდეს მთავრობაში, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით საგანელიძემ შესაძლო სამთავრობო ცვლილებებთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად.

პრეზიდენტი ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს შეხვდა

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, მხარეებმა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური პერსპექტივა განიხილეს და ნატოში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის თაობაზე იმსჯელეს.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოს წინაშე არსებულ გარე და შიდა გამოწვევებს. უკრაინაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა რეგიონალური უსაფრთხოების, რეგიონის ქვეყნებს შორის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა იყო.

შეხვედრისას ნატოს მომავალი სამიტის შესახებ ისაუბრეს, რომელიც სექტემბერში დიდ ბრიტანეთში გაიმართება. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ აღნიშნულ სამიტზე აისახება ის პროგრესი, რომელსაც ქვეყანამ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე მიაღწია.

შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა და მას ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი, პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო საკითხებში ივანე მაჭავარიანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე ესწრებოდნენ.

ინტერპრესი

◎ უმაღლესი განათლება

წინ დიდი გზაა

არჩევნები საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიაში

2014 წლის 28 მარტს გაიმართა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში განსახილველად იყო რამდენიმე საკითხი.

კრებამ პირველ საკითხად განიხილა აკადემიის პრეზიდენტის არჩევა.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც 1995 წლის 23 მარტს დაფუძნდა, დღიდან დაარსებისა აქტიურად არის ჩართული ჩვენი ქვეყნის როგორც სამეცნიერო, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში. აკადემიაში, რომლის შემადგენლობაშიც არჩეულნი არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, ყოველთვის ცდილობდნენ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მიაწოდონ ხელისუფლებას თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები, რომლებიც სასიკეთოდ წაადგება ქვეყნის წინსვლას და მისი ეკონომიკის გაჯანსაღებას.

აკადემიას პირველი დღიდანვე დამფუძნებელთა ერთ ჯგუფთან ერთად 18 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, ღირსეული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე, რომელიც 2013 წლის 16 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა.

აკადემიის საერთო კრება გახსნა აკადემიის საპატიო ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ.

ნ. ჭითანავამ კრების დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად წარადგინა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებლის და მთელი ამ წლების განმავლობაში აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თეიმურაზ ბაბუნაშვილის კანდიდატურა, მან დაახასიათა თ. ბაბუნაშვილი როგორც აქტიური, პრინციპული, კომუნიკაბელური მეცნიერი და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პიროვნება და შემოიტანა წინადადება, მისი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევის თაობაზე. წარმოდგენილ კანდიდატურასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს აკადემიკოსებმა: გიორგი მალაშხიამ, გურამ ყუფუნიამ, არჩილ ვაშაკიძემ, თამაზ იმედაძემ, გივი კილასონიამ, გულთაზ ლაბარტყავამ, მამია ჭუმბურიძემ, თამაზ დანელიამ, ნუგზარ პაიჭაძემ, რომლებმაც დაახასიათეს თ. ბაბუნაშვილი და მხარი დაუჭირეს მისი აკადემიის პრეზიდენტად არჩევას.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის პრეზიდენტად, ერთხმად აირჩია, პროფესორი, აკადემიკოსი, თეიმურაზ ბაბუნაშვილი.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები:

თეიმურაზ ბაბუნაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1953 წლის 22 მაისს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო ინჟინრის, ეკონომისტის, ისტორიკოსის, მენეჯერ-მარკეტოლოგის კვალიფიკაციები.

1978-1990 წლებში მუშაობდა სახელმწიფო და სამეცნიერო დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1986 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დოცენტის, პროფესორის თანამდებობებზე. იყო საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის თანადამფუძნებელი, პრორექტორი, საქ. ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის თანადამფუძნებელი და პრორექტორი. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო და 2 სასწავლო პროგრამა, 8 დისერტაციაზე იყო ოპონენტი, არის 2 გამოგონების ავტორი, მისი შრომები გამოცემულია საფრანგეთში, ჩეხეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში, სტაჟირებები აქვს გავლილი მოსკოვის პლეხანოვის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტში და ჩეხეთის კარლოვის უნივერსიტეტში. არის საკავშირო ლაურეატი სამეცნიერო სფეროში, 1998 წელს საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ღირსების ორდენით. 1995 წელს მონაწილეობას იღებდა საქ. პარლამენტის არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატად, 2010 წელს კი ქ. თბილისის ადგილობრივ არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად. არის რამდენიმე სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალების რედკოლეგიების წევრი, 1999 წელს აირჩიეს რუსეთის ფედერაციის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 2001 წელს არჩეულ იქნა აბაშის რაიონის საპატიო მოქალაქედ, 2013 წელს აირჩიეს ქ. თბილისის საპატიო მოქალაქედ, ფლობს უცხო ენებს, ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი. აკადემიის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ თ. ბაბუნაშვილმა საერთო კრებას მადლობა გადაუხადა მისი მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ ეს არის ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრა აკადემიის ტრადიციებიდან და მისი საქმიანობიდან გამომდინარე. მან საერთო კრებას ვიცეპრეზიდენტად დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსეული პიროვნება და საზოგადო მოღვაწე თამაზ იმედაძე, ხოლო აკადემიის სწავლულ მდივნად, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ დანელია. აგრეთვე, კრების მონაწილეებს აკადემიის პრეზიდენტმა დასამტკიცებლად წარუდგინა აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა: დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები: თეიმურაზ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭითანავა, თამაზ იმედაძე, ლია ელიავა, ვაჟა კვალიაშვილი, ლოიდ ქარდავა, მამია ჭუმბურიძე, გურამ გვეტაძე, ბადრი გეჩბაია.

წარმოდგენილი კანდიდატები კენჭისყრის შედეგად დაამტკიცეს და აირჩიეს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ განიხილა რამდენიმე მიმდინარე საკითხი, რის შემდეგაც კრებამ მუშაობა დაამთავრა.

ნუგზარ ჯაყელი

◎ კითხული კაცის აზრი

საყდრისი კულტურისა და მეცნიერების ძეგლია

საყდრისი არა მარტო კულტურის, ის მეცნიერების, კერძოდ, მეტალურგიისა და ფიზიკის საუცხოო ძეგლია. მართლაც, წარმოიდგინეთ, თუ რა მეცნიერების დონე იყო ხუთი ათასი წლის წინათ, როდესაც წერაქვი და ბარი არ არსებობდა, და ჩვენმა წინაპრებმა არა მარტო ოქროს მადნის ამოღება, მისგან ოქროს გამოდნობაც კი შესძლეს.

როგორ გამოიყურებოდა საყდრისის ბორცვი ხუთი ათასი წლის წინათ?

ბორცვის ზედაპირზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამოსული ოქროს მადნის ძლიერი ძარღვი, რომელიც ჩვენს წინაპრებს შეუიარაღებელი თვალით შეეძლოთ დაენახათ. შემდეგ ამ მადნიდან ოქროს მიღებას უნდა მიხვედრილიყვნენ და რადგან ოქროს გამოდნობა არც თუ ადვილია, სპეციალური ღუმელის კონსტრუქცია უნდა მოეფიქრებინათ.

რადგან ოქრო ძალიან მძიმე მეტალია (მისი წონა იგივე მოცულობის წყალთან შედარებით თითქმის 20-ჯერ დიდია), ოქროს შემცველი ნიადაგის წყალში გახსნისას ილექება. შემდეგი ეტაპი კი ოქროს გამოდნობასთანაა დაკავშირებული. ეს კი იმ დროისათვის არც თუ ადვილი საქმე იყო, რადგან ოქროს დნობის ტემპერატურა 1064 გრადუსს აღემატება და მისი მიღება ჩვეულებრივი კოცონის ალის დახმარებით შეუძლებელია. ცხდია, წინაპრებს უნდა მოეფიქრებინათ ცეცხლის ალის ტემპერატურის მნიშვნელოვანი გაზრდის შესაძლებლობა.

ცხადია, მათ იცოდნენ, რომ ნაკვერჩხლის გაღვივება შებერვით შეიძლება, მაგრამ უნდა მოეფიქრებინათ გამოსადნობი ღუმელის ისეთი მოწყობილობა, რომელიც ჰაერის ნაკადს სასურველ სიდიდემდე გაზრდიდა და ალის ტემპერატურა ათას გრადუსს გადააჭარბებდა. ეს კი იმ დროს ადვილი არ იყო.

რადგან ოქროს ძარღვის დასამუშავებლად რკინის იარაღები არ იყო ცნობილი და ქვის სატეხებს იყენებდნენ, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ჩვენს მიწაზე ოქროს გამოდნობა რკინის გამოდნობაზე ადრე მოხდა.

ამრიგად, მართალია, რომ ხეთებმა 4000 წლის წინათ რკინის გამოდნობა იცოდნენ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, რამდენიმე საუკუნით ადრე ჩვენმა წინაპრებმა შექნეს ოქროს გამოდნობის მეთოდი.

ცხადია, იმ დროს ხალხებს შორის არ იყო ძლიერი ინფორმაციული კავშირი და სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები, შესაძლოა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ანვითარებდნენ პრიმიტიულ ტექნოლოგიებს, მაგრამ იმ დროისათვის მათთვის საკმაოდ რთული ტექნოლოგიების განვითარება ყოველთვის ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანია.

საყდრისის მაღარომ მანამ იარსება, სანამ ოქროს შემცველი ძლიერი ძარღვი არ გამოილია. შემდეგ ეს მაღარო დაიხურა და ჩვენამდე იმ სახით მოაღწია, რომ ოქროს შემცველობა მხოლოდ თანამედროვე ხელსაწყოების დახმარებით შეიძლება. ამრიგად, 5 ათასი წლის განმავლობაში საყდრისის მაღარომ დიდი ცვლილებები განიცადა და მიუხედავად ამისა, ძალზე მნიშვნელოვანი და ჩვენთვის დიდად საამაყო ინფორმაცია მოგვაწოდა, რომელიც ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მსოფლიოში მეტალურგიული ტექნოლოგიების განვითარების ისტორიის დასადგენად.

თვით ოქრო საკმაოდ რბილი მეტალია. მისი დამუშავება და საჭირო ფორმის მიცემა ადვილია. სწორედ ამიტომ შეიქმნა მრავალი ულამაზესი ოქროს სამკაულები.

ამდენად, საყდრისის მაღაროს არა მარტო დიდი კულტურული ღირებულება აქვს, არამედ ის უნიკალური ძეგლია მეცნიერების ისტორიის შესასწავლად და მეცნიერების ისტორიის დიდებულ ძეგლს წარმოადგენს. ამდენად, საჭიროა მისი დაცვა არა მარტო კულტურის სამინისტროს, არამედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასაც დაევალოს.

მერაბ ჯიბლაძე,
პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის ფიზიკური საზოგადოების წევრი.

◎ ალიან-ჩალიანი

მოთმინება და „ნაციონალურ მოძრაობისთვის“ რაღაცების პატიება მოგვიწევს

ამის შესახებ ალასანიამ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა. თავდაცვის მინისტრმა უარყო ინფორმაცია მისი „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირის შესახებ და თითქოს ცოტა ხნის წინათ, თურქეთში გიგა ბოკერიას შეხვდა.

„ეს უსაფუძვლო ჭორებია. მეცინება, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჩემს კავშირებზე ლაპარაკობენ. მე „ნაციონალურ მოძრაობას“ აღვიქვამ როგორც პოლიტიკურ ძალას, რომელთანაც არ უნდა გვქონდეს დაძაბული ურთიერთობა. კარგად მესმის მათი, ვისაც ძალიან ცუდად მოექცა სააკაშვილის ხელისუფლება, ვისაც დევნიდნენ და უდანაშაულოდ გამოამწყვდიეს ციხეში. ვიცი, რომ მათთვის ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და მინდა, ვუთხრა: ჩვენი შვილების მომავლისთვის აუცილებელია, არ დავუშვათ ძალადობა პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ქვეყნის მომავლისთვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ის საფრთხეები, რაც ქვეყანას ემუქრება და არ დავანახვოთ სამყაროს, რომ შიგნიდან ვართ გახლეჩილი. აქედან გამომდინარე, მოთმინება და „ნაციონალური მოძრაობისთვის“ რაღაცების პატიება მოგვიწევს. ეს შეიძლია, მე ვთქვა, რადგან შევძელი და ვაპატიე აფხაზებს, რომლებმაც მამა დამიხვრიტეს, — განაცხადა ალასანიამ.

ინტერპრესი

◎ დიდი ნოველიანტი გარდაიცვალა...

სამშობლოში პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული გენიოსი

გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი (ესპ. Gabriel Jose Garcha Marquez; დ. 6 მარტი, 1927) – კოლუმბიელი მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი და პოლიტიკური აქტივისტი. დაიბადა ქალაქ არაკატაკაში მაგდალენას დეპარტამენტი, კოლუმბია, თუმცა, ცხოვრების ძირითადი ნაწილი მექსიკაში და ევროპაში გაატარა. სიცოცხლის ბოლოს დროის ძირითად ნაწილს მექსიკოში ატარებდა.

გარსია მარკესი საყოველთაოდ მოიაზრება, როგორც ლიტერატურული სტილის, მაგიური რეალიზმის წამყვანი ფიგურა და მიუხედავად იმისა, რომ მისი მწერლობა ამ სტილისთვის ემბლემურია, მისი კატეგორიზაცია მხოლოდ მასში შეუძლებელი იქნებოდა.

მარკესმა კარიერა ბოგოტას ყოველდღიური გაზეთის ელ-ესპექტადორის რეპორტიორობით დაიწყო, მოგვიანებით კი მუშაობდა ამავე გაზეთის უცხოეთის კორესპონდენტად რომში, პარიზში, ბარსელონაში, კარაკასსა და ნიუ-იორკში.

მისი პირველი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „დამხრჩვალი მეზღვაურის ამბავი“ იყო, რომელიც მან პირველად გაზეთში, პუბლიკაციების სერიის სახით გამოაქვეყნა 1955 წელს. წიგნი მოგვითხრობს გემის დაღუპვის ნამდვილ ამბავს, თხრობის პროცესში ამხელს გემზე კონტრაბანდისტული საქონლის არსებობას, რაც საბოლოოდ გემის დაღუპვის მიზეზი ხდება, ჭარბტვირთვინობის გამო. ამ ნაწარმოებმა საზოგადოების მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რამეთუ მასში მოთხრობილი ამბები ეწინააღმდეგებოდა გემის დაღუპვის გამოცხადებულ ოფიციალურ ვერსიას. სწორედ აქედან დაიწყო გაბრიელ-გარსია მარკესის ურთიერთობის დაძაბვა კოლუმბიის ხელისუფლებასთან, რამაც შემდგომში იგი პერსონა ნონ გრატად აქცია საკუთარ სამშობლოში. შემდგომში ეს საგაზეთო პუბლიკაციები 1970 წელს ერთ წიგნად გამოიცა რომანის სტატუსით.



მის ნაწარმოებებში გამოგონილი ამბავი ენაცვლება ნამდვილს. თხრობის მაღალმხატვრულმა მანერამ და წერის გამორჩეულმა სტილმა გაბრიელ-გარსია მარკესი მისი შემდგომი ნაწარმოებების წყალობით XX საუკუნის ლიტერატურულ სიმბოლოდ აქცია. 1981 წელს მარკესმა გამოაქვეყნა „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ და „სიყვარული შავი ჭირის დროს“. ამ ნაწარმოებებიდან გაბომ, როგორც მას შემოკლებით უწოდებენ, დაიწყო მისი მაგიური სამყაროს საძირკვლის ჩაყრა და იმ პერსონაჟების შემოყვანა ამ მაგიურ სივრცეში, რომლებიც წიგნიდან წიგნში უცვლელი პერსონაჟები ხდებიან.

გაბრიელ გარსია მარკესის ყველაზე წარმატებული ნაწარმოები, თუ წიგნის გაყიდული ეგზემპლარებითა და მკითხველი საზოგადოების აზრის გათვალისწინებით ვიმსჯელებთ, რომანი „მარტოობის ასი წელიწადი“ გახდა. ეს რომანი მწერალმა 1967 წელს დაწერა და პირველი გამოცემიდან დღემდე მთელი მსოფლიოს მასშტაბით 30 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. წიგნი მოგვითხრობს გამოგონილი სოფლის მაკონდოს მცხოვრებლების რამდენიმე თაობაზე, სოფლის დაარსებიდან უკანასკნელი ბუენდიას დაღუპვამდე. წიგნში ნაამბობია მარტოობის იმ ას წელიწადზე, რომელიც თან სდევდა ბუენდიების გვარის წარმომადგენლების ცხოვრებას თაობიდან თაობამდე. ამ რომანით გაბრიელ გარსია მარკესმა რომულო გალეგოს პრემია დაიმსახურა 1972 წელს. 1982 წელს კი მას ნობელის პრემია მიენიჭა, მისი ნაყოფიერი და შემოქმედებითი ლიტერატურული კარიერისათვის.

1999 წელს გაბოს ექიმებმა დიაგნოზი დაუსვეს – ლიმფური სისხლძარღვების კიბო, ამ მოვლენამ მწერალს მემუარების წერა დააწყებინა. 2000 წელს მთელს მსოფლიოს ელვასავით მოედო ახალი ამბავი, მწერლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო პერუს დედაქალაქ ლიმაში გამომავალ ყოველდღიურ გაზეთში, „ლა რეპუბლიკა“-ში დაბეჭდილი არასწორი ინფორმაციის გამო.

2002 წელს მარკესმა გამოაქვეყნა მემუარების კრებული, რომელსაც სათაურად სამი ესპანურ სიტყვა უძღოდა წინ: Vivir para contarla (იცხოვრო, რათა მოყვე). გამოცემისთანავე წიგნი ბესტსელერად იქცა ესპანურენოვან სამყაროში. ამ წიგნის 2003 წელს გამოცემული თარგმანი კი – ახალ ბესტსელერად იქცა.

მარკესის გარდაცვალება (იგი 87 წლის ასაკში 17 აპრილს გარდაიცვალა) მთელს მსოფლიოს მოედო. დიდ მწერალს გლოვობდნენ და სამოქალაქო პანაშვიდებს უხდიდნენ, როგორც მექსიკაში, ასევე მშობლიურ კოლუმბიაში. ახლობლები ვერ თანხმდებიან, თუ სად უნდა დაიკრძალოს დიდი მწერალი – მშობლიურ ესპანეთში თუ მექსიკაში, სადაც ბოლო 35 წელი ცხოვრობდა. არის ვერსია, რომ მარკესის ფერფლი ორ ნაწილად გაყონ და ლეგენდარულ მწერალს ორი საფლავი ჰქონდეს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ხელისუფლება პოლიტიკაში ექს-პრეზიდენტის მთავარ მტერს აბრუნებს

საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ყოფილი ხელმძღვანელი, ქვეყნის ყოფილი გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეურიგებელ მტრად ითვლებოდა, დარეგისტრირდა თავისი მშობლიური ქალაქ გორის მერობის კანდიდატად. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსი არ შეესაბამება კრიტერიუმს საქართველოში ყოფნის ორწლიანი ცენზის შესახებ იმ პირებისთვის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ მუნიციპალურ თანამდებობებზე. ექსპერტების აზრით, ხელისუფლებამ თვალები დახუჭა კანონის დარღვევაზე იმის სურვილის გამო, რომ დაუპირისპირდნენ ბატონ სააკაშვილსა და მის გუნდს, რომლებიც თანდათან იხვეჭენ სახელს უკრაინის ამბების ფონზე.

განკარგულებას ირაკლი ოქრუაშვილის გორის მერად რეგისტრაციის შესახებ ხელი მოაწერა საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა მალხაზ მირუაშვილმა. ფორმალურად მას არა აქვს ამის უფლება, ვინაიდან ერთ ქვეყანაში ყოფნის ცენზი ნებისმიერ მუნიციპალურ თანამდებობაზე პრეტენდენტობისათვის ორ წელს შეადგენს, მაშინ, როდესაც ყოფილი მინისტრი დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც ცხოვრობდა როგორც პოლიტიკური დევნილი, მხოლოდ 2012 წლის ნოემბერში, საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ.

თავისი გადაწყვეტილება ბატონმა მირუაშვილმა ასე ახსნა: განცხადებაში სურვილის შესახებ – მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში – ირაკლი ოქრუაშვილმა მიუთითა, რომ „უკანასკნელი ორი წელიწადი ცხოვრობდა საქართველოში“. ჩინოვნიკის სიტყვებით, ამ ინფორმაციის სიმართლის შემოწმება „არ შედის საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში“. **„თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, ან თუ ვინმეს აქვს ზუსტი ცნობები, დაე გაპროტესტონ ჩემი გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში“,** – განაცხადა მალხაზ მირუაშვილმა და, ამგვარად, პასუხისმგებლობა ზემდგომ ორგანოს გადაულოცა.

ირაკლი ოქრუაშვილი გახდა მერობის პირველი დარეგისტრირებული კანდიდატი 15 ივნისის მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლებოდა გაგესაჩივრებინა ორშაბათს დილამდე. ცხადია, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა წინასწარი განზრახვით აირჩია განცხადების შესატანად საშობაო დღეები, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლები, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეებისა და პოლიტიკოსების უდიდესი უმრავლესობა, სამუშაოდ არ გადის.

ექს-მინისტრმა, რომელმაც ქვეყანა დატოვა პრეზიდენტ სააკაშვილთან მკაცრი დაპირისპირების შედეგად 2007 წლის შემოდგომაზე, განაცხადა, რომ სურს დაბრუნდეს პოლიტიკაში, გააკეთა ერთი თვის წინათ. „ჩემთვის ეს მესამე ლიგა და თავის ზედმეტი ატკივებაა, მაგრამ მე არ შემეძლო არ გამოვხმაურებოდი გორელთა თხოვნას“, – განმარტა მან თავისი გადაწყვეტილება. ამავე დროს, გორი, სადაც ამჟამად სამხრეთი ოსეთიდან ათობით ათასი ლტოლვილი ცხოვრობს, სულ რაღაც 29 კილომეტრითაა დაშორებული ცხინვალიდან და მდებარეობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ავტოტრასაზე, რომელიც თბილისს შავი ზღვის ნავსადგურებთან აკავშირებს. ამიტომ ამ ქალაქის მერს აქვს მნიშვნელოვანი რესურსები საერთო ეროვნულ პროცესებზე გავლენისთვის.

ექსპერტების აზრით, ხელისუფლების სურვილის უქონლობა – გააპროტესტონ ოქრუაშვილის რეგისტრაცია, მიუხედავად კანონის აშკარა დარღვევისა – შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს: მმართველ კოალიციას მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის საპირისპიროდ სურს ჰყავდეს თავისი კაცი. სააკაშვილი და მისი გუნდი კი კვლავ ზრდიან თავის წონას უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენების ფონზე. როგორც ჩვენს გაზეთს ყოველკვირეული გაზეთის „პრემიერის“ კომენტატორმა ზურაბ ღოღობერიძემ განუმარტა, **„ირაკლი ოქრუაშვილი ექსპრეზიდენტის შეურიგებელი მტერია, და ამ მხრივ იგი მეტად ძვირფასია ხელისუფლებისთვის“.**

Коммерсант

დედამიწის ზურგზე

გერმანიამ ჩინეთს მოუწოდა აღმოუჩინოს დახმარება უკრაინას კრიზისის მოწესრიგებაში

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უნდა ჩაერთოს კონფლიქტში „მსოფლიო არენაზე გაზრდილი პასუხისმგებლობის გამო“. პეკინში მიაჩნიათ ასევე, მაგრამ, ამავე დროს, ითხოვენ გაითვალისწინონ რეგიონში „ისტორიული სინამდვილის სირთულე“.

* * *

თეთრ სახლს იმედი აძვს გვერდი აუარონ ახალ სანქციებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყო პირადად პუტინის „დასჯის“ შესაძლებლობა

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ურჩევნია, გვერდი აუაროს ზემოქმედების შემდგომ ზომებს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკა არ ისწრაფვის სანქციებისკენ და ხაზგასმით მიუთითა, რომ შესაძლებლობა რუსეთის პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვისაკენ არ განიხილება.

* * *

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა, რომ 5 მილიარდი დოლარი დაბანდა უკრაინელი ხალხის სურვილში – ჰქონდეს ძლიერი, დემოკრატიული ხელისუფლება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა, რომელიც მაიდანზე ზამთარში ნამცხვრებს არიგებდა, დაადასტურა, რომ 1991 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინის დემოკრატიზაციაში ხუთი მილიარდი დოლარი ჩადო. ამავე დროს, მისი სიტყვებით, მაიდანი იყო სტიქიური მოძრაობა, შენობები კი კიევში აიღეს იჯარის პირობებით.

* * *

მოლდოვამ მიიღო გადაწყვეტილება, უარი განაცხადოს რუსეთის ტელეარხებზე, რომლებიც აწარმოებენ „ევროინტეგრაციის ალტერნატივის პროპაგანდას“

რესპუბლიკის მთავრობამ უკვე მოიწონა რუსეთის ფედერაციის არხების აკრძალვის პროცედურა. მოლდოვის პარლამენტში მმართველმა უმრავლესობამ კი უკვე რეგისტრაციაში გაატარა შესაბამისი კანონპროექტი. ქვეყნის მოქალაქეები იმყოფებიან „გიგანტური საინფორმაციო კამპანიის“ პირობებში“, რაც მრავალგზის გაძლიერდა უკრაინის მოვლენების დროს.

◎ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ – ᲘᲥᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲝᲜᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ?

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲣᲬᲧᲚᲝᲑᲘᲗ 3 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲨᲣᲐ ᲐᲤᲠᲘ�კᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ ᲐᲖᲘᲐᲡ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ. ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲐᲠ ᲣᲚᲮᲘᲜᲗ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐᲪ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲗ ᲙᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘᲐ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲗ 2020-25 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ ᲔᲡ �პᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲘᲥ ᲣᲙᲕᲔ ᲖᲔᲓᲐ�პᲘᲠᲣᲚ ᲬᲧᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲣᲚᲘᲐ.

ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲔᲤᲘᲪᲘᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘᲓᲐᲜ 5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.** ᲛᲘᲡᲘᲕᲔ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 18 ᲛᲚᲠᲓ/ᲙᲣᲑ/ᲛᲔᲢᲠᲘ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ.

ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ �გᲐᲠᲓᲐ, ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲘᲠᲐᲜᲘ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘ) ᲬᲐᲠᲛᲝᲥᲛᲜᲘᲚ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲖᲔᲪ ᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲡ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲐᲜ ᲛᲢᲙᲜᲐᲠ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲘᲠᲐᲜᲨᲘ �გᲐᲕᲐ. ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲐᲓ ᲙᲘ ᲛᲘᲚᲘᲡᲐᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲑᲗ. ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲝ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ** ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲜᲘ�კᲝᲚᲐᲫᲔ** ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲤᲕᲔᲚᲖᲔ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ 67 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘᲐ, 33 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ – ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲠᲣᲜᲢᲘᲡ �წᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐ�გᲘᲡ 0,75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲨᲘ 50 ᲛᲚᲠᲓ. ᲚᲘᲢᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲤᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐ�გᲘ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲘᲝᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ 18 ᲛᲚᲠᲓ ᲙᲣᲑ. Მ. ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐ�გᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘᲐ. ᲐᲛ ᲛᲐᲠᲐ�გᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲡᲣᲚ 5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲚᲔ ᲘᲠᲐᲜᲘ ᲓᲐᲤᲐᲡᲝᲔᲑᲣᲚᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ, ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲛᲐ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲛᲐ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛ ᲠᲐᲰᲘᲛᲞᲝᲣᲔᲠᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲝᲠᲘ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲐᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ – 200 ᲛᲚᲠᲓ. ᲚᲘᲢᲠᲘ 1,3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ. ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲤᲐᲡᲝᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲣᲙᲕᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ �გᲐᲢᲐᲜᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 50 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲚᲘᲢᲠᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐ 3 ᲛᲚᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐ�გᲘ ᲐᲠᲪ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲛᲝᲘᲚᲘᲝᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ 18 ᲛᲚᲠᲓ ᲙᲣᲑ. Მ. ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲐ�გᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲓᲘᲐ. ᲐᲛ ᲛᲐᲠᲐᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲡᲣᲚ 5 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ, – ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲔ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲮᲐᲖᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲔᲜ ᲛᲐᲗ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲤᲐᲡᲝᲔᲑᲣᲚᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ�გᲐᲠᲔᲗ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲗᲘᲗ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ. ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲛᲮᲐᲠᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ – 200 ᲛᲚᲠᲓ. ᲚᲘᲢᲠᲘ 1,3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲓᲐᲣᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲡ. ᲮᲝᲚᲝ ᲓᲐᲤᲐᲡᲝᲔᲑᲣᲚᲘᲡ, ᲣᲙᲕᲔ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ �გᲐᲢᲐᲜᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 50 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲚᲘᲢᲠᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐ 3 ᲛᲚᲜ ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ 67 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘᲐ, 33 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ – ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲠᲣᲜᲢᲘᲡ �წᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲘᲡ 0,75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 50 ᲛᲚᲠᲓ. ᲚᲘᲢᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲤᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ 67 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘᲐ, 33 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ – ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲠᲣᲜᲢᲘᲡ �წᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲘᲡ 0,75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 50 ᲛᲚᲠᲓ. ᲚᲘᲢᲠᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲐᲚᲔᲑᲐᲡ. ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐᲪ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲤᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲗᲘ 67 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘᲐ, 33 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ – ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲘ ᲔᲠᲗᲮᲛᲐᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ �წᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ �გᲠᲣᲜᲢᲘᲡ �წᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲘᲡ 0,75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲫᲘᲗ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲘᲕᲔᲑᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲑᲡ, – ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲛᲘᲡᲘ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲐᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲡ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲛᲧᲘᲡᲘᲔᲠᲐᲓ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲡ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲐᲚᲙᲐᲚᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓ

◎ ჩოგბურთი

რაფა ნადალი: ყოველთვის მოგება შეუძლებელია

მსოფლიო რეიტინგსიის ლიდერი რაფა ნადალი დღეს კატალონიის დედაქალაქ ბარსელონის Barcelona Open Banc Sabadell-ის ტურნირში ჩაებმება. მოგეხსენებათ, მალიორკელი ამ შეჯიბრების მოქმედი გამარჯვებულია (შარშანდელ ფინალში თანამემამულე ნიკოლას ალმაგროს სძლია), წლეულს კი შეჯიბრების სტარტზე ესპანელი ალბერტ რამოსისა და რუსი ნიკოლაი დავიდენკოს შორის მოგებულს შეხვდება. ბარსელონის ტურნირის წინ ნადალმა და დავიდ ფერერმა ლისეუს საოპერო თეატრში საჩვენებელი საჩოგბურთი მატჩი ჩაატარეს.

— საოპერო თეატრში საჩოგბურთო ასპარეზობა ჯერ არ გამართულა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ოპერის სცენაზე ჩოგბურთის თამაშისგან?

— მართლაც უნიკალური გამოცდილებაა. მე და დავიდი თავდაპირველად მოწიწებით გავედით ლისეუს თეატრის სცენაზე, თუმცა, შემდეგ ცოტათი გავთამამდით. დიდი მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს ამგვარი შესაძლებლობის მოცემისთვის.

— თუმცა, მონტე კარლოს „მასტერზ 1000“-ის მეოთხედფინალში დავით ფერერთან მარცხი კარგ გუნება-განწყობაზე არ დაგაყენებდათ...

— ყოველთვის მოგება შეუძლებელია. როდესაც წააგებ, უმთავრესი ამოცანა მარცხის სასწრაფოდ დავიწყება და ფსიქოლოგიური წონასწორობის აღდგენაა, საამისოდ კი საუკეთესო საშუალება ვარჯიშია. სამუშაო სწორად უნდა დაიგეგმოს, ეს კი მაღალ დონეზე გამოსვლის საშუალებას აუცილებლად მოგცემს. კარიერაში წარუმატებელი გამოსვლები ადრეც მქონია. ახლა ჩემი ამოცანა ბარსელონაში კარგი თამაშის ჩვენება და შეჯიბრების მოგებაა.

— ავსტრალიის ღია პირველობასა და მონტე კარლოს „მასტერზ 1000“-ზე მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ შესაძლებელია სტანისლას ვავრინკა სეზონის ლიდერად მივიჩნიოთ?

— სტანისლასს მაღალ დონეზე თამაშის პოტენციალი ყოველთვის ჰქონდა, ახლა კი მან სათანადო გამოცდილება დააგროვა. ვავრინკას ესოდენ დიდი წარმატება ჩემთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ავტოსპორტი

ჰამილტონის პირველი ჰეთ-ტრიკი, „მერსედესის“ მესამე დუბლი

ოთხი რბოლიდან რომ სამს მოიგებ, ეს ბევრის მთქმელია. ჰამილტონმა ზედიზედ მესამე გამარჯვებით დაამტკიცა, რომ ამ სეზონში მას ბადალი არ ეყოლება. თუმცა, ჩემპიონობისთვის ეს მაინც არ კმარა და თუ არ გჯერათ, კლასიფიკაციას გადახედეთ — ის გეტყვით, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში უმთავრესი ფაქტორი სტაბილურობა იქნება. ისეთი სტაბილურობა, რომელიც ნიკო როსბერგს ერთი გამარჯვებითაც ლიდერობის საშუალებას აძლევს!

აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მამამისი — კეკე როსბერგი, რომელმაც 1982 წლის სეზონში ერთადერთი გამარჯვებით შეძლო მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. მართალია, იმ სეზონში ფ1-ში წარმოუდგენლად მკაცრი კონკურენცია იყო და ტიტულისთვისაც რამდენიმე გუნდის პილოტები იბრძოდნენ, რაც ყოველ ქულას ოქროს ფასს ადებდა, მაგრამ ამჯერად სულ სხვა ფაქტორი მოქმედებს, რამაც შესაძლოა ნიკო დიდ გამარჯვებამდე მიიყვანოს.

ეს ფაქტორი სტაბილურობაა: ჰამილტონი რომ ამჟამად ლიდერი არაა, ეს პირველი რბოლის უქულოდ დასრულების ბრალია. თუ წინა სეზონებისთვის თვალის გადავლება არ დაგვეზარება, შევნიშნავთ, რომ როსბერგი ყოველთვის უფრო ხშირად ახერხებს რბოლების დასრულებას. მოკლედ, ჰამილტონის კოზირი სისწრაფეა, როსბერგისა კი — სტაბილურობა და სეზონის ბოლოს ორივე კოზირს შეიძლება თანაბარი ძალა ჰქონდეს...

„ჯერაც ვერ ვიჯერებ, მანქანა ისეთი კარგია. ისღა დამრჩენოდა, საკუთარი სიამოვნებისთვის მერბოლა. ეს გუნდი შეუჩერებელია, გარწმუნებთ“, — განაცხადა ჰამილტონმა, რომელმაც სტარტიდან ფინიშამდე არავის დაუთმო მოწინავე პოზიცია. ეს მისი 25-ე გამარჯვებაა, რითაც ლეგენდარულ შოტლანდიელ ჯიმ კლარკს გაუსწორდა. სხვათა შორის, შანჰაიშივე კვალიფიკაციის მოგებით პოულობის რაოდენობით (34) იმავე კლარკს გადაასწრო.

როსბერგს სტარტზე პრობლემები შეექმნა: ლიდერთა რიგში დადგომამდე მას რადიოთი აცნობეს, რომ ტელემეტრია არ მუშაობდა, მწვანე შუქზე კი ჯერ ფელიპე მასამ და ფერნანდო ალონსომ გაასწრეს, ხოლო შემდეგ ვალტერ ბოტასი დაეჯახა. თუმცა, ამან მანქანა არ დაუზიანა და თანდათან შეძლო მეორე ადგილამდე დაწინაურება. სტარტზე მასა შეუდარებელი იყო - მან როსბერგის გასწრების შემდეგ დანიელ რიკარდოს და ალონსოსაც შეუტია, მაგრამ ესპანელისგან ფიშტი მიიღო. ბედად, ამ შეჯახებასაც არ გამოუწვევია მანქანების დაზიანება.

ალონსომ, ვინც შანჰაის რბოლა შარშან მოიგო, რბოლის მესამე ადგილზე დასრულება შეძლო, რაც ამ სეზონში „ფერარის“ და მისი ახალი შეფის მარკო მატიაჩის პირველი კვარცხლბეკია. ალონსო თავისი შედეგით გაოცებული დარჩა. ყოველ შემთხვევაში, ნარბოლევს განაცხადა, კვარცხლბეკზე ასვლა ჩემთვის მოულოდნელობაა. „...მაგრამ ეს სასიამოვნო მოულოდნელობაა. სხვა თუ არაფერი, ამ კლასიფიკაციაში ამ ბიჭების უკან ვარ. მართალია, სეზონის უკეთეს დასაწყისს ვისურვებდით, მაგრამ მთავარია, რომ ჯერჯერობით ბრძოლას ვახერხებთ“, — განაცხადა ალონსომ.

ესპანელმა უკან მოიტოვა „რედ ბულის“ ორივე პილოტი, რომელთაგან უფრო სწრაფი ამჯერადაც დანიელ რიკარდო იყო. ალონსომ ავსტრალიელს სტარტზევე გაასწრო, პირველ პიტსტოპზე კი ფეტელიც უკან მოიტოვა, რის შემდეგაც ისინი წინ აღარც გაუშვია. თუმცა, მეორე ადგილი ბოლომდე მაინც ვერ შეინარჩუნა — 42-ე წრეზე როსბერგმა გაასწრო. შუა რბოლაში კი რიკარდო ფეტელს წამოეწია. მისი ტემპი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონისაზე წამზე მეტით უკეთესი იყო. და გუნდმა ფეტელს უკარნახა — რიკარდო შენზე სწრაფია და გაატარეო. გერმანელმა ერთხელ არ გაუშვა თანაგუნდელი, თუმცა მეორე შეტევაზე წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. რიკარდომ ამის შემდეგ ალონსოს დაწევაც სცადა, მაგრამ მიზნამდე (მესამე ადგილამდე) სამწამნახევარი დააკლდა.

მასა კი, რომელმაც სტარტზე გაიბრწყინა, საბოლოოდ უქულოდ დარჩა. მას პირველ პიტსტოპზე ბორბლის გამოცვლა გაუჭიანურეს, რაზეც იმდენი დრო დაკარგა, რომ ანაზღაურება ვეღარ შეძლო და ფინიშს მე-15 ადგილზე მიაღწია. „უილიამსს“ ქულები მხოლოდ ვალტერ ბოტასმა მოუტანა, რომელმაც მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ჩინეთის დიდი პრიზი
შანჰაი, დისტანცია 305.066 კმ (56 წრე, 5.451 კმ)

1. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მერსედესი) 1:33:28.338,
2. ნიკო როსბერგი (გერმანია, მერსედესი) 00:18.062
3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფერარი) 00:23.604,
4. დანიელ რიკარდო (ავსტრალია, რედ ბული) 00:27.136,
5. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბული) 00:47.778.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ჰიკმანის „მაკაბის“ „ოთხთა ფინალს“ 1 მოგება აშორებს

თელ ავივის “მაკაბის“, რომლის ღირსებასაც საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი რიკი ჰიკმანი იცავს, ევროლიგის „ოთხთა ფინალამდე“ ერთი გამარჯვება რჩება.

მას შემდეგ, რაც მილანის „ემპორიო არმანისთან“ საგარეო ტურნედან შინ საყაიმო ანგარიშით (1:1) დაბრუნდა, ებრაულმა გრანდმა მშობლიურ „ნოკია არენაზე“ პირველი შეხვედრა ჩაატარა და 11 060 ქომაგის თვალწინ იოლად — 75:63 იმარჯვა.



აღსანიშნავია, რომ მატჩის პირველი მეოთხედი მილანელთა მინიმალური გაქცევით დასრულდა, დარჩენილ დროში კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახლდათ, რაშიც ჰიკმანმაც სოლიდური წვლილი შეიტანა.

რიკი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 27 წუთში 15 ქულა, 3 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. „მაკაბის“ უკანახაზელმა 8-დან 5 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო გამოიყენა, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, 2-ჯერ დაუფარეს, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 7-ჯერ დაჯარიმდნენ.

ჰიკმანის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 20-ს უწია, რითაც იგი მხოლოდ თანაგუნდელ ალექს ტიუსს (21) ჩამორჩა. ამ უკანასკნელმა 14 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. სტუმართაგან 10-ქულიან ზღვარს 3 კალათბურთელი გადაცდა: დენიელ ჰეკეტი (14), კეიტ ლენგფორდი (12) და კერტის ჯერელსი (11).

დღეს „მაკაბი“ „ემპორიო არმანის“ კიდევ ერთხელ უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში „ოთხთა ფინალის“ საგზურს მიიღებს, ხოლო თუკი მილანელებმა იყოჩაღეს, 25-ში გადამწყვეტ მატჩს შინ გამართავენ.

დღესვე ითამაშებენ: „ოლიმპიაკოსი“ — „რეალი“ (1:2) და „პანათინაიკოსი“ — ცსკა (1:2).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ოფიციალურად: „მანჩესტერმა“ მოიესი დაითხოვა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დევიდ მოიესი გაათავისუფლა. ამ ინფორმაციას „წითელი ეშმაკების“ ოფიციალური საიტი ავრცელებს.

მოგეხსენებათ, შოტლანდიელმა სპეციალისტმა თავისი თანამემამულე ალექს ფერგიუსონი მიმდინარე სეზონის დაწყებამდე შეცვალა. სავარაუდოდ, „მანჩესტერის“ ლეგენდარული ნახევარმცველი რაიან გიგზი სეზონის ბოლომდე გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი იქნება.

შეგახსენებთ, რომ მოიესის შემცვლელებად განიხილებიან იურგენ კლოპი, დიეგო სიმეონე, ლორან ბლანი, ანტონიო კონტე და ლუი ვან გალი.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ლიზ სოლარი ფეხბურთს არ წყალობს

სამხრეთამერიკელმა ლამაზმანმა მსახიობმა და მოდელმა ლიზ სოლარიმ ახლახან ესპანეთის დედაქალაქში გამართულ თეთრეულის ჩვენებაზე ახალი კოლექცია წარადგინა. გარდა იმისა, რომ ლიზი ნამდვილად იმსახურებს ლამაზი ქალის ტიტულს, იგი მადრიდის „რეალის“ ყოფილი თავდამსხმელის სანტიაგო სოლარის ღვიძლი დაა.

სანტიაგო ახლა ნაკლებად თუ ახსენდებათ ფეხბურთის გულშემატკივრებს. სამაგიეროდ, ლიზია კარიერის მწვერვალზე და არც თუ უსაფუძვლოდ. ლიზის, ძმისგან განსხვავებით, ფეხბურთი არ იტაცებს, სამაგიეროდ გოლფი და ცხენოსნობა უყვარს და პრეტენზიაც აქვს, რომ ამ საქმის პროფესიონალად ჩამოყალიბდეს.

როსტომ რაჭველიშვილი

მეგობრის ხსოვნას

იოსებ ხაზარაძე

გარდაიცვალა პროფკავშირული მოძრაობის ცნობილი მოღვაწე, შრომის გმირი **იოსებ ხაზარაძე**. იგი სამშობლოზე, ოჯახსა და მეგობრებზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი იყო. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა ცხოვრებაში — ქვეყნისა და ადამიანებისათვის მხოლოდ სიკეთე ეკეთებინა.

დაიბადა 1932 წელს ქ. ქუთაისში, პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ახლად დაარსებულ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მუშად. პირველი ძრავების აწყობის დღიდან ის იმდენად დახელოვნდა, რომ მომავალში თითქმის რეგულარულად აყენებდა ტექნიკური ხელმძღვანელობის წინაშე უამრავ სასარგებლო, რაციონალურ წინადადებებს, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების მეტად რთულ და მნიშვნელოვან საკითხებზე, რითაც თავიდანვე მიიქცია ქარხნის ხელმძღვანელობის ყურადღება. ის იყო მრავალი გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი, რითაც ქარხანამ თავის დროზე როგორც ტექნიკური საკითხების გაუმჯობესების, ასევე საერთო დანახარჯების შემცირების თვალსაზრისით გარკვეულ შედეგებს მიაღწია. ამიტომაც მას საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით 1966 წლის 2 აპრილს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მეცნიერების განვითარების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

პირველი ახლადშექმნილი ქართული ავტომობილის ათვისების და გამოშვების საქმეში მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით ბატონი იოსები მალე იქნა დაწინაურებული. ის დაინიშნა საქართველოს გამომგონებელთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. შედარებით მოკლე დროში კომიტეტმა გარკვეულ შედეგებს მიაღწია. თვითონ ბატონი იოსები 20 გამოგონების და 100-ზე მეტი რაციონალური წინადადების ავტორია. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გამომგონებელთა საერთო რაოდენობა, რითაც კომიტეტის საქმიანობის საერთო დონე საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე, ბატონი იოსები ისევ დაწინაურეს და აირჩიეს საქართველოს პროფესიულ კავშირებში მდივნის თანამდებობაზე. აღნიშნულ თანამდებობაზე მან მრავალი წელი იღვაწა და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

იოსებ ხაზარაძე აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. არაერთხელ ყოფილა არჩეული ადგილობრივი და ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყრილობების დელეგატად და უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. გარდა ამისა, ის როგორც მოწინავე და თვალსაჩინო ხელმძღვანელი, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე არჩეული იყო ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, სადაც მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობას.

უკანასკნელ დროს ბატონი იოსები მუშაობდა შრომის ვეტერანთა კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციის თავმჯდომარედ, სადაც ძალისხმევას არ იშურებდა ვეტერანთა სოციალური უფლებების დაცვის და მათი მატერიალური უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად.

დიდია იოსებ ხაზარაძის დამსახურება და ღვაწლი ქვეყნისა და ერის წინაშე. ის, როგორც ტექნიკური ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და პირადი პასუხისმგებლობით. ის იყო მაღალი ზნეობის მოქალაქე, მეუღლე, ბაბუა და მეგობარი.

ბატონი იოსების ნათელი სახე და კაცურკაცობა მუდამ ემახსოვრებათ მის ახლობლებს, მეგობრებს და კოლეგებს.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს.

კ. გარდაფხაძე, რ. ნაცარიშვილი, ნ. პეტრიაშვილი, გ. აბზიანიძე, ნ. რუხაძე, თ. იმედაძე, ა. ბურჯანაძე, გ. გვეტაძე, გ. ხაზარაძე, თ. ხაზარაძე, მ. ხაზარაძე, ვ. ხაზარაძე, ზ. ანთაძე, ლ. დათიაშვილი, მ. მდინარაძე, ტ. ლეფსაია, ვ. ჯაფარიძე, დ. კუხიანიძე, ა. ჩიჩხაშვილი, დ. იაკობაშვილი, ნ. კაკაურიძე, მ. ფაჩუაშვილი, ლ. ფანჩულიძე, ო. ჟოხონელიძე, გ. ფხაკაძე.

ედუარდ შევარდნაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფკავშირული მოძრაობის ცნობილი მოღვაწის, შრომის გმირის

იოსებ ხაზარაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის მეუღლეს ზაირა ყიფიანს.

გ. ხაზარაძე, თ. ხაზარაძე, მ. ხაზარაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ახლო ნათესავის, სახელოვანი მამულიშვილის და საზოგადო მოღვაწის

იოსებ ხაზარაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს და დედაქალაქის ვეტერანთა ორგანიზაციები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს შრომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, პროფკავშირული მოძრაობის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის გმირი

იოსებ ხაზარაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

განათლების სამინისტროსა და „რობერტ ბოშს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და კომპანია „რობერტ ბოშის“ კომერციულმა დირექტორმა კავკასიის რეგიონში ნინო ფრუიძემ მოაწერეს.

„მემორანდუმი მიზნად ისახავს საქართველოში პროფესიული განათლების განვითარებას საინჟინრო მიმართულებით. კომპანია „რობერტ ბოშის“ ლიცენზირებული ტრენერები უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებელთა ცოდნის დონის ამაღლებას ახალი ტექნოლოგიების, ბოშის ელექტრო ინსტრუმენტებისა და აქსესუარების გამოყენებით. კომპანია უზრუნველყოფს სახელოსნოების აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით, სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას, ასევე ჩაერთვება გამოსაშვებ გამოცდებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმატებული კურსდამთავრებულები მიიღებენ ბოშის საერთაშორისო სერტიფიკატს.

შსს-მ უკანონო იარაღი და დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თამაზ ბ. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თბილისში, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით, ასევე, ფიქსატორიანი გასაშლელი დანა ამოიღეს.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

* * *

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების და ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში 1967 წელს დაბადებული ზაალ ი. დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ზაალ ი-ს თბილისის ერთ-ერთ სასაფლაოზე გადამალული ჰქონდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები.

ნარკოლოგიური შემოწმებით, დაკავებულს ოპიუმისა და ბუპრენორფინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

ინტერპრესი

სანთელი

ალექსანდრე (საშა) გვილია

ენგურჰესის ხელმძღვანელ მშენებელთა რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი შესანიშნავი მამულიშვილი, ღირსეული პიროვნება, დარგის გამოჩენილი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი **ალექსანდრე გვილია**, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოირჩეოდა თავმდაბლობით, თავაზიანობით და პროფესიისადმი უანგარო თავდადებით.

უკრაინის „ბოგურავნახშირისის“ ტრესტში მუშაობისას მიღებული გამოცდილების შემდეგ 1962-1967 წლებში მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობის დირექციაში საწარმო განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1967-1979 წლებში ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების კომბინატის მთ. ინჟინრად. 1979-1981 წლებში იყო ენგურჰესის „გვირაბმშენის“ სამმართველოს უფროსი, 1981-1987 წლებში — ენგურჰესის მშენებლობის დამხმარე საწარმოთა გაერთიანების დირექტორის მოადგილე. ენგურჰესზე სამშენებლო სამუშაოების დამთავრების და ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების შემდეგ 1988-1990 წლებში პენსიაზე გასვლამდე ხელმძღვანელობდა „ხიდმშენინდუსტრიის“ ზუგდიდის უბანს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს, სამუდამო სასუფეველი დაუმკვიდროს ალექსანდრე გვილიას სულს.

ანზორ ჭითანავა, ოთარ ჭითანავა, გურამ გუნავა, კუკური კვარაცხელია, ნოდარ შარტავა, ლევან მეგონია, ჯონი ჭანია, ვალერიანე კანკია, პავლე ძვარცხავა, მურად ჭურაძე, ნუგზარ სართანია.

ლამარა შველიძე და ვალერიანე კანკია იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ შესანიშნავი ბიძა და საუკეთესო პიროვნება

ალექსანდრე (საშა) გვილია

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

მურმან ჯოჯუა

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურების მშენებარე შპს „კავკასიონი“ (ყოფილი ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მე-8 მექანიზებული კოლონა) ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შპს „კავკასიონის“ მთავარი ინჟინერი **მურმან აკაკის ძე ჯოჯუა**

მან მუშაობა დაიწყო შპს „კავკასიონში“ (ყოფილ ტრესტ „კავკაზელექტროქსელმშენის“ მე-8 მექანიზებული კოლონა) 1978 წელს ენერგეტიკული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით, სადაც მუშაობდა დღემდე.

მუშაობის პერიოდში ბატონი მურმან ჯოჯუას მონაწილეობით აშენებულია მრავალი 110, 220, 330, 500, 750 კვ ელექტროგადამცემი ხაზები როგორც საქართველოში, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვა რესპუბლიკებში).

ასევე სამსახურიდან მივლინებული იყო სირიაში ოთხი წლით მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე მთავარ „კონსულტანტად“.

მონაწილეობა აქვს მიღებული 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ მშენებლობაში კარაჩაევო-ჩერქეზეთის, სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეში.

2003 წლიდან 2007 წლამდე პარალელურად მუშაობდა შპს „ენერგოტრანსის“ მთავარ ინჟინრად.

2003 წლიდან მონაწილეობა აქვს მიღებული საქართველოში 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების სარეაბილიტაციო სამუშაოებში.

მეგობრები თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მიხეილ გოცირიძე, ნუგზარ კოტია, გივი კაცაძე, მერაბ მაგრაძველიძე, კახა კახეთელიძე, სოსო წოწორია, მამუკა გულიაშვილი, ანდრო ცხადაძე, გელა უნდილაშვილი, კონსტანტინე სარძისოვი

მზია ქაჯაია, ვოვა იოსელიანი, სპარტაკ, მანანა ქობულიები სამძიმარს უცხადებენ ციცო, რუზგენ, თენგო, მაია, მარინა ბერიშვილებს მამის

ვანო (ივანე) ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვოვა კოსტავა, შვილი ზურაბ კოსტავა, რძალი ნინო არუშიძე, შვილიშვილები ანო, ელენე კოსტავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მანანა გიორგის ასული მაჭავარიანი

პანაშვიდი 23 IV, გამოსვენება 24 IV, 15 სთ. მის: შანიძის №20.

◎ ჩვენი კარაბადინი

შეირთეთ ცოლად ჭკვიანი ქალები!

ჭკვიანი ქალების ქმრები ცოცხლობენ უფრო დიდხანს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ შვედი მეცნიერები. გონიერმა ქალებმა იციან, თუ როგორ უნდა ვიკვებებოდეთ, ვერკვეოდეთ ყოფა-ცხოვრებაში, ვუმკურნალოთ ავადმყოფ ბავშვებსა და მეუღლეს. ჭკვიანი ქალები მისდევენ ცხოვრების ჯანსაღ წესს.

ექსპერტებმა გააანალიზეს ქალებისა და მამაკაცების 1,5 მილიონი ანკეტა და გამოარკვიეს, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელთა განათლების დონე გავლენას ახდენს მამაკაცების ცხოვრების ხანგრძლივობაზე უფრო მეტად, ვიდრე საკუთარზე. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცოლ-ქმართა ურთიერთობას: მხარდაჭერას, საერთო ინტერესებს. ქორწინებაში ბედნიერ მამაკაცებს ყველაფერი წესრიგში აქვთ არა მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობასთან, არამედ ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებითაც. ისინი ნაკლებად განიცდიან დეპრესიას, ნაკლებად არიან დამოკიდებული ალკოჰოლზე და ნარკოტიკებზე, მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ სოციალიზაციასთან დაკავშირებით.

ყველანი - სკრინინგზე!

სანკტ-პეტერბურგის ონკოლოგებმა შემოგვთავაზეს საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული გამოვლინების სკრინინგის მოდელი.

ამ დაავადების გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ახალწარმონაქმნთა გვიანი დიაგნოსტიკა. ხშირად კიბო ვლინდება უკვე III-IV სტადიებში, როდესაც სიტუაციის შეცვლა შეუძლებელია.

პათოლოგიის ადრეულ სტადიაში გამოვლინების ყველაზე ეფექტიანი ხერხი სკრინინგია, ესე იგი, რისკის იმ ჯგუფის პაციენტების მასობრივი გამოკვლევა, რომელთა უმრავლესობასაც სიმპტომები არ უვლინდება. მაგალითად, 30 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც სკრინინგის პროგრამები ხორციელდებოდა განვითარებულ ქვეყნებში და მოიცავდნენ მოსახლეობის 75-90 პროცენტს, მათ საშვილოსნოს ყელის კიბოსგან გარდაცვალება, მაგალითად, ფინეთში 50 პროცენტით, ისლანდიაში — 80 პროცენტით შეამცირეს.

სკრინინგის ახალი მეთოდიკა სტანდარტიზებული ტექნოლოგიის წყალობით საშუალებას იძლევა, მინიმუმამდე შევამციროთ საექიმო შეცდომის რისკი.

მხოლოდ კარგი ბავშვები

ველოსიპედების დასაყენებელ ადგილებზე, იაპონიაში სკოლების გვერდით რომაა, შეიძლება ორი ფირფიტა შენიშნო. ერთზე გამოსახულია წესიერად მდგარი ველოსიპედები და წარწერა: „ველოსიპედებს ასე კარგი ბავშვები აყენებენ“. მეორე ფირფიტაზე შეიძლება დაინახო ერთი-ორი ურიგოდ მიყრილი ველოსიპედი და სხვანაირი წარწერა: „კარგი ბავშვები ველოსიპედებს ასე არ აყენებენ“. იაპონიაში ბავშვებთან დაკავშირებით სიტყვებს „ცუდი“ ან „უვარგისი“ საერთოდ არ იყენებენ.

რისთვის გვჭირდება მწარე საჭმელი

მწარე გემოს რეცეპტორები ენაზე მგრძნობარენი არიან პირში ბაქტერიების ზედმეტად გაზრდის გამო, — გამოარკვიეს ამერიკელმა მეცნიერებმა. ეს რეცეპტორები ქმნიან დამატებითი ანტიმიკრობული პეპტიდების გამომუშავების საშუალებას მავნე მიკროორგანიზმებთან ბრძოლისთვის. ტკბილი გემოს რეცეპტორები კი, პირიქით, აქვეითებენ ანტიმიკრობული პეპტიდების სინთეზს. გამოდის, რომ ტკბილი საკვები სტიმულს აძლევს ბაქტერიების ზრდას პირში არა მხოლოდ იმიტომ, რომ შაქარი უფრო კარგი საკვებია მიკრობების ზრდისთვის, ტკბილი საკვები დამატებით ბლოკავს იმუნურ დაცვას. შეიძლება, მალე გახდეს შესაძლებელი შეიქმნას ტკბილის რეცეპტორების ბლოკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ მოვახდინოთ პირის ღრუს ბაქტერიული მიკროფლორის სტაბილიზება.

ფაქტს კომენტარს უკეთებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ტატაშვილი:

— ჩვენ კიდევ ბევრი რამ არ ვიცით საკუთარი ორგანიზმის შესახებ. ზემოთ მოყვანილი მონაცემები აფართოებენ ჩვენ ცოდნას. მე თავად ძალიან მიყვარს მწარე საჭმელები: ჩემ მაგიდაზე ყოველთვისაა მდოგვი, წიწაკა და სხვა ცხარე საჭმელები — უიმათოდ ჩემი სუფრა ვერც წარმომიდგენია. ახლა კი უკვე ისიც ვიცი, რომ ისინი მეხმარებიან ვებრძოლო ბაქტერიებს. აი, ტკბილს კი ვჭამ იშვიათად და ცოტას, რაც, უეჭველია, მინარჩუნებს კბილებს. ტკბილის რეცეპტორების ბლოკატორები სჭირდება დიაბეტიკებს, ტკბილის მოყვარულებმა თავი უნდა შეიზღუდონ — შაქარი ხომ არა მარტო აღიზიანებს რეცეპტორებს, რაც ამცირებს მიკრობების საწინააღმდეგო დაცვას, იგი ხელს უწყობს საკუთარ ზედმეტ წონას და სიმსუქნეს. ასე რომ, იგი რაციონში არ უნდა იყოს სადღეღამისო კალორაჟის 10 პროცენტზე მეტი, ხოლო კიდევ უკეთესია, თუ არ იქნება 5 პროცენტზე მეტი.

რამდენად გაიზარდა?

ყველაზე „პროდუქტიული“ ბავშვები გერმანელები არიან: მათგან 40 პროცენტი ცხრანახევარი წლის ასაკის შემდეგ უკვე „მიათრევს“ თავის მეორე ფიჭურ ტელეფონს.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

2014 წლის 25 აპრილს (პარასკევს), 12 საათზე, გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოსსენებით გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

დავით ნარმანია

თემაზე: „ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი ორგანოების მიერ.“

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის გამზ. 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

აკადემიის პრეზიდიუმი

ჰიპერტირეოზი ციფრებსა და ფაქტებში

ჰიპერტირეოზი — ესაა მდგომარეობა, რომლის დროსაც ფარისებრი ჯირკვალი გამოიმუშავებს ძალიან ბევრ ტიროქსინის ჰორმონს.

ჩვეულებრივად ჩნდება ფსიქიკური ტრავმის პასუხად, ზოგჯერ სხვადასხვა დაავადებისა და მდგომარეობის (ტუბერკულოზი, რევმატიზმი, ფეხმძიმობა...) დროს, უფრო იშვიათად — გადატანილი ინფექციის, იოდის გაზრდილი მოხმარების, მზით ხანგრძლივი დასხივების შედეგად.

შემთხვევების 70-80 პროცენტში ჰიპერტირეოზის განვითარება ხდება დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის მიზეზით — ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დარღვევის შედეგად.

პაციენტების 28 პროცენტი იტყობინება ემოციური შერყევების შესახებ, რომლებიც იწვევდნენ ჰიპერტირეოზის პროვოცირებას.

20-დან 50 წლამდე — ესაა ასაკი, როდესაც ჰიპერტირეოზი ყველაზე ხშირად ხდება.

ჰიპერტირეოზის ნიშნებია ნერვული სისტემის გაზრდილი გაღიზიანება, სწრაფი გადაღლილობა, წონის მკვეთრი დაკლება გაზრდილი მადის დროს, ხშირი პულსი, არითმია, ოფლიანობა, გაღიზიანებულობა, სიცხის აუტანლობა...

ჰიპერტირეოზი ქალებში გვხდება 8-10-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მამაკაცებში.

ჰიპერტირეოზის დროს პაციენტების 45 პროცენტს უვლინდება გრეივსის ოფთალმოპათია — თვალის კაკლის წინ წამოწევა.

ჰიპერტირეოზის მკურნალობის 3 ძირითადი მეთოდია: მედიკამენტოზური, რადიაციული და ქირურგიული. პირველ შემთხვევაში ნიშნავენ ანტიტირეოდულ მედიკამენტებს, რომლებიც თრგუნავენ ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ჩამოყალიბებას. მეორე შემთხვევაში — რადიოაქტიურ იოდს, იგი აღწევს ფარისებრი ჯირკვლის უჯრედებში ჰიპერფუნქციით და ანგრევს მათ. ქირურგიული თერაპიის დროს კვეთენ ფარისებრი ჯირკვლის ნაწილს.

მოსახლეობის 0,7-12,4 პროცენტს შეენიშნება მსუბუქი ჰიპერტირეოზი.

ჰიპერტირეოზით დაავადებულთა დაახლოებით 50 პროცენტი მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოჩენამდე იღუპებოდა.

ჰიპერტირეოზით დაავადებულებისთვის აუცილებელია მაღალკალორიული კვება ცილების მაღალი შემცველობით. თუმცა, უნდა ერიდონ იმ პროდუქტების მიღებას, რომლებიც აღაგზნებენ ნერვულ სისტემას: მაგარ ბულიონს, მაგარ ჩაის და ყავას.

ჰიპერტირეოზის სიმპტომები პირველად აღწერა გერმანელმა ექიმმა მერზებურგიდან კარლ ადოლფ ფონ ბაზედოვმა. ამიტომ დაავადებას ადრე ბაზედოვას უწოდებდნენ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ბბრბმ, როგორია პროცენტულად ოდესის მოსახლეობის შემადგენლობა? — ეკითხებიან ებრაელს.

— ათი პროცენტი რუსია, ათიც — უკრაინელი, დანარჩენი ოთხმოცი კი ადგილობრივი მკვიდრია.

* * *

— ბრ მოსწიოთ, არ დალიოთ, ქონიანი არ ჭამოთ, — ეუბნება ექიმი პაციენტს.

— სქესობრივი ცხოვრება შეიძლება?

— მხოლოდ ცოლთან.

— რატომ???

— იმიტომ, რომ თქვენთვის თვეში ერთჯერადი სექსის მეტი არ შეიძლება!

* * *

— რას აკეთებთ აქ, საყვარელო?

— თვითმფრინავს ველოდები.

— რომელ თვითმფრინავს ელოდებით ჩემს კარადაში?

— იმ თვითმფრინავს, რომლითაც დღეს მივლინებაში მიფრინავთ.

* * *

რუსი მზვერავი პეტროვი, რომელმაც უნაკლოდ იცოდა ხუთი ენა, უმალ ჩაფლავდა საზღვარგარეთ, როგორც კი მას ვიღაცამ ბერბერაზე დაადგა ფეხი.

* * *

კვდება ტიპი. დაუძახა ახლობლებს:

— ძმაო, გახსოვს, სამსახურიდან რომ გაგათავისუფლეს? ეს მე გაგითხარე სამარე. დაიკო, გახსოვს, უშიშროებაში რომ დაგარბენინებდნენ? ამას ჩემი ანონიმური წერილის გამო გიკეთებდნენ. ცოლო, გახსოვს, დაპატიმრებას რომ გიპირებდნენ? ეს ჩემი გამოისობით დაგემართა. მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ. ახლა კი ბოლო თხოვნა მაქვს — ჭაღზე ფეხით ჩამომკიდეთ. თქვა ეს და მოკვდა. ჩამოკიდეს ჭაღზე ფეხებით. უცებ ზარი ირეკება, აღებენ. იქ მილიცია დგას.

— ჩვენთან შემოვიდა განცხადება, რომ აქ მიცვალებულს უდიერად ეპყრობიან!

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24